ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge



კახა მიქაია: „ოცნებაზე“ სერიოზული კომენტარის გაკეთება შენს არასერიოზულობაზე მეტყველებს“

გვ.3

5 აპრილიდან
150 ამბავი
ნობელიანტი ფიზიკოსები




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

შაბათი – კვირა, 14 - 15 აპრილი, 2018 №87 (7632) ფასი: 50 თეთრი

# საპარლამენტო უმრავლესობას ირაკლი კობახიძის დაკრულზე მოუწევს ცეკვა




გვ.2

## ვინ და რატომ უდგენს „ოცნების“ დეპუტატებს ქცევის წესებს




გვ.2

## „გიორგი მარგველაშვილს „ოცნების“ ნებისმიერი კანდიდატის დამარცხება შეუძლია“

## კახა კუკავა: „დღეს მთავარი ინტრიგა ოპოზიციაშია და არა ხელისუფლებაში“



გვ.4



გვ.4

## „ცენტრ-პოინტმა თავისი ვალდებულებები რომ შეასრულოს, მაია რჩეულიშვილი ციხიდან უნდა გამოვიდეს“

### სამართალი

გვ.7




თბილისის ცენტრში 22 წლის გოგოს ყელი გამოჭრეს

ერთ-ერთ უნივერსიტეტში სპორტული შეჯიბრის დროს პირის დაჭრის ფაქტზე ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა





მუხიანში მკვლელობა მოხდა



განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰაშიშის“ საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

### ეკონომიკა

გვ.6

„მთავრობის მიერ შემოთავაზებული საპენსიო რეფორმა მოქალაქეებისათვის ხანშიშესულ ასაკში მასობრივ სიღარიბეს ნიშნავს“





რას მოითხოვს ევროპისაგან მსოფლიო ისლამისტური ლიგა

## ევროკავშირი უნგრეთს სანქციებს უწესებს?

გვ.5

ISSN 1987-9385
9 771987 938006

3 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 დაწესებულების ყოფილი დირექტორი და მისი მოადგილე დააკავეს

7 რა პირობებზე შედგება რუსეთ-აშშ-ის შეთანხმება?

8 გოგა ბითაძე ნბა-ს დრაფტზე დადგა

10 ხელოვნების სასახლემ უნიკალური ექსპონატი შეიძინა

# „გიორგი მარგველაშვილს „ოცნების“ ნებისმიერი კანდიდატის დამარცხება შეუძლია“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო კანდიდატებზე საუბრობს.**

***— ბატონო სოსო, არ არის გამორიცხული, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი იყოს. თქვენ რა პერსპექტივებს ხედავთ?***

— სიმართლე გითხრათ, რთულად წარმოსადგენი მგონია, რომ ყველა არასაპარლამენტო ოპოზიციამ, ასევე დამოუკიდებელმა კანდიდატებმა შეძლონ ასეთი გაერთიანება ერთი კანდიდატის გარშემო. უკვე რამდენიმეს თავისი თავი დასახელებულიც კი ჰყავს. თუ მხოლოდ „თავისუფალი დემოკრატების“, „ახალი მემარჯვენეებისა“ და კიდეც რამდენიმე პარტიის კანდიდატი იქნება მარგველაშვილი, ეს ბევრს არაფერს შეცვლის. მე მეეჭვება ასეთი ერთსულოვნების და ამიტომ ვარ ასე პესიმისტურად განწყობილი. დღეს უკვე არც „თავისუფალ დემოკრატებს“, არც „ახალ მემარჯვენეებს“ აღარ აქვთ ის შარმი, ის მიმზიდველობა, რაც თუნდაც 10 წლის წინ ჰქონდათ, ამიტომ გავლენაც შესაბამისი აქვთ.



***— მარგველაშვილმა თქვა, რომ გადაწყვეტილება ჯერ არ აქვს მიღებული.***

— როგორც ჩანს, უძნელდება, უჭირს მარგველაშვილს ამ გადაწყვეტილების მიღება. ის მაინც ბუნებით თავისუფალი კაცია და, ეტყობა, თავისუფლების ხიბლი მოენატრა, დიდხანს თავისუფლებასთან განშორება უჭირს, თუმცა, გვითხრა, თუ ეს აუცილებლობით იქნება განპირობებული, ის იყრის კენჭს. ვნახოთ, მე მაინც მგონია, რომ ბევრი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ იქნება სახელისუფლებო კანდიდატი. დღეს, ვფიქრობ, ოპოზიციას გაუჭირდება მარგველაშვილის დათანხმება, კიდევ ერთი ვადით იყაროს კენჭი. ბოლოს და ბოლოს, ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიან, რაც მან მშვენივრად იცის. თუმცა, მოქმედი პრეზიდენტი ჯერ კიდევ მეთვალყურის როლშია და სიტუაციას ზვერავს.

***— თუ ვინ იქნება „ქართული ოცნების“ კანდიდატი?***

— რასაკვირველია. მე, პირადად, არ დაგიმალავთ და არ მჯერა, რომ ივანიშვილმა პრეზიდენტად კენჭი იყაროს, მაგრამ პოლიტიკაში, მით უფრო, ქართულ პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია.

უკვე წავიდა ის დრო, როდესაც ივანიშვილმა ნებისმიერი კანდიდატი, ვინც არ უნდა იყოს, დააყენოს და შემდეგ აირჩიონ. ეს დრო განსაკუთრებით მას შემდეგ წავიდა, რაც თბილისის მერად ნარმანია მოგვახვია თავს. თუ თავად ბიძინა ივანიშვილი გახდება საპრეზიდენტო კანდიდატი, მაშინ ყველა ვარიანტში უპირობოდ გახდება ის პრეზიდენტი, ვინც არ უნდა იყოს ოპოზიციის კანდიდატი, ივანიშვილი უალტერნატივო იქნება. თუმცა, „ქართულ ოცნებაში“ მე ასეთ მძიმეწონოსანს ვერ ვხედავ. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი სათადარიგოთა სკამი დააცარიელა, მას შემდეგ მით უფრო, როდესაც კახი კალაძე მერი გახდა. როგორც ფეხბურთში იტყვიან, მათი სათადარიგოთა სკამი მოკლეა, ახლა კი სულ დაცარიელებულია.

***— გარედან გამორიცხავთ, რომელსაც ივანიშვილი გაუწევს რეკომენდაციას?***

— არა მგონია. ეს რომ იყოს 2013 წელი, 2014 წელი, კი ბატონო, მაგრამ ახლა უკვე ძალიან რთული იქნება, როგორც თავის დროზე ივანიშვილმა მთელი თავისი ნდობის რესურსი ნარმანიას გადაულოცა, მაგრამ ახლა ძალიან რთული იქნება. ამიტომ მმართველ პარტიას ძალიან დიდი მუშაობა მოუწევს, თუ ვინ იქნება მათი საპრეზიდენტო კანდიდატი. მათ ყველა კანდიდატი ვერ გამოადგებათ. „ქართული ოცნების“ ნებისმიერი საპრეზიდენტო კანდიდატი ვერ იქნება უპირობო ლიდერი.

***— ისე, რა საინტერესო იქნება ივანიშვილისა და მარგველაშვილის დაპირისპირება.***

— არ წავა ივანიშვილი ამაზე! საერთოდ არ წავა იმაზე, რომ კენჭი იყაროს. რას მისცემს მას პრეზიდენტობა?! ივანიშვილმა გვითხრა, რომ ძალაუფლება არ აინტერესებს. არათუ გვითხრა, საქმით გვიჩვენა. აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონდა და ამაზე თქვა უარი. ახლა, მით უფრო ამ კონსტიტუციით, როდესაც პრეზიდენტი ლამის აეროპორტში იქნება გამწესებული ხელის ჩამომრთმევად და გასაფრენად, რაში აწყობს?! რომ მთელი ტვირთი წამოიკიდოს, რომელიც ისედაც აქვს წამოკიდებული? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ გახდეს პრეზიდენტი და მოინდომოს იმ ყველაფრის გამოსწორება, რაც დღეს სასამართლოში ხდება, პარლამენტში, საკადრო რეფორმა დაიწყოს, მართლაც კონსტიტუციით პრეზიდენტისთვის შეუფერებელი საქმეების კეთება რომ დაიწყოს, მერე ნახეთ თქვენ „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშები, ევროკავშირის საყვედურები და შინ კიდევ სამოქალაქო სექტორისა და ოპოზიციის კრიტიკა. შინ და გარეთ, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ კეთილი ზრახვებით იყოს ნაკარნახევი ეს საქმეები, მაინც ყველა იტყვის, კონსტიტუცია გათელა და ფეხქვეშ გაიგდო. არა, ამაზე ნამდვილად არ წავა. თუ კონსტიტუციის ჩარჩოებში ჩაიკეტება და ვერაფერს გააკეთებს, მაშინ რა მოხდება, ყველა მკვდარ კატას ივანიშვილს ჩამოჰკიდებენ, ეტყვიან, რომ მოდიოდი, არ იცოდი, კონსტიტუცია რის უფლებას გაძლევდა?!

ერთი, რაც შემიძლია დღეს გითხრათ, არის ის, რომ მარგველაშვილი თუ ერთიანი ოპოზიციის კანდიდატი გახდა, აქვს შანსი, „ქართული ოცნების“ ნებისმიერი კანდიდატი დაამარცხოს, გარდა ივანიშვილისა.

# საპარლამენტო უმრავლესობას ირაკლი კობახიძის დაკრულზე მოუწევს ცეკვა

## ვინ და რატომ უდგენს „ოცნების“ დეპუტატებს ქცევის წესებს

შორენა მარსაგიშვილი

**მმართველ გუნდში ნამდვილი სიოციება ხდება. ეჩნი დეპუტატების დასაოკებლად პუკტია სპეციალური დოკუმენტის მიღებას აპირებს, რომელიც მეოცნებეებს ქცევის წესებს დაუდგენს.**

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, სოფო კილაძის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტი ნებაყოფლობითობის პრინციპზე იქნება დაფუძნებული.

— ცხადია, ყველას აქვს შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი აზრი გუნდის შიგნით თუ გუნდის გარეთ. საუბარი არის კონკრეტულ წესებზე, რომელზეც ნებაყოფლობით ყველანი ერთად შევთანხმდებით. აქ მხოლოდ ნებაყოფლობითობაზეა საუბარი. ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს თამაშის წესები პოლიტიკური პარტიის შიგნით. ამ წესებს სცემენ პატივს და ეს არ ითვლება დემოკრატიის შეზღუდვად.

არსებობს ელემენტარული წესები, რომელსაც ყველამ პატივი უნდა სცეს. საუბარია პარტიის შიდა დოკუმენტზე, რომელიც იქნება ყველას შეთანხმების საგანი ნებაყოფლობითობის საფუძველზე. უნდა არსებობდეს წესები, რომ ადამიანებმა ერთმანეთს შეურაცხყოფა არ მიაყენონ — ეს არის ელემენტარული ჭეშმარიტება, — აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში სოფიო კილაძე.

დოკუმენტის შემუშავება პარლამენტის თავმჯდომარეს, ირაკლი კობახიძეს დაევალა. დეპუტატ სიმონ კილაძის თქმით, აღნიშნული დოკუმენტი უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის ფორმას დაარეგულირებს.

— დოკუმენტის შედგენა ირაკლი კობახიძეს დაევალა. მის პროფესიონალიზმს ყველანი ვენდობით. დოკუმენტის განხილვაში უმრავლესობის 116-ვე წევრი მიიღებს მონაწილეობას. ეს იქნება უმრავლესობის დოკუმენტი. ბუნებრივია, ყველას საერთო აზრი არ გვექნება, გაიმართება განხილვა და დოკუმენტს კენჭისყრის ფორმით მივიღებთ, — განმარტა სიმონ ნოზაძემ.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ამბობს, რომ გუნდში განსხვავებული აზრის ქონა ტრაგედია არ არის. მისივე თქმით, „ოცნებაში“ ისეთი დაძაბულობა სულაც არ არის, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

სესიაშვილის შეფასებითვე, პარტიული დისციპლინა ძალიან ჩვეულებრივი და აპრობირებული მეთოდია და შესაბამისი წესები დოკუმენტში თუ გაიწერება, ეს პრობლემა არ არის.

— პირველ რიგში ვიტყვი, რომ „როგორც ქუხს, ისე არა წვიმს“. აზრთა სხვადასხვაობას ჩვენ არასდროს არ შევუშინდებით. განსხვავებული აზრების არსებობა მისასალმებელია. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ემოციურ ფონს და ამაშიც კატასტროფული არაფერია. პარტიული დისციპლინა საერთაშორისოდ მიღებული პრინციპია. ჩვენ ეთიკის ნორმებს შინაგანი რწმენით დავარეგულირებთ, თუ წესების ფორმაზე ჩამოვყალიბდებით, ამაშიც ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავთ, — განუცხადა ირაკლი სესიაშვილმა ჟურნალისტებს.

მის მოსაზრებას იზიარებს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე. ამბობს, რომ „ოცნებაში“ იმ მასშტაბის პრობლემა არ არის, როგორც ეს საზოგადოებას მიეწოდება.

ფრაქციის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ გუნდში არსებული უთანხმოება რამდენიმე დღეში მოგვარდება.

მდინარაძის თქმითვე, „ოცნებაში“ შიდა წესების შემოღებას განიხილავენ და არა სანქციების მექანიზმის ამოქმედებას.

— გუნდის შიგნით შედგა შეთანხმება, რომ ზედმეტი კომენტარები არ იქნება სასურველი, ვიდრე პარტიასა და უმრავლესობაში არ გავმართავთ შეხვედრას. ამ შეხვედრაზე გაირკვევა საკითხები, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ხდება. ვფიქრობ, ეს ზედმეტი კინკლაობა არ წაადგება არც პარტიას და არც ქვეყანას. საზოგადოებასაც კი გაცილებით მძაფრად მიეწოდება ამბები, რაც გუნდის შიგნით ხდება, — ამბობს მამუკა მდინარაძე.

პარლამენტის სპიკერი მზადაა უმრავლესობას ქცევის წესები დაუწესოს. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ეს წესები ყველა დეპუტატმა უნდა დაიცვას.

— ჩვენს შეხვედრაზე მარტივად გადაწყდა, რომ უნდა გაიწეროს წესები. ამ წესებზე მიდის მუშაობა და დასრულდება უახლოეს დღეებში. ამ წესებს განვიხილავთ უმრავლესობის ფორმატშიც. ამის საფუძველზე გაგრძელდება მუშაობა ძალიან კონსტრუქციულად და მშვიდად საპარლამენტო უმრავლესობის ფორმატში.



გაიწერება წესები, რომელიც უნდა იყოს დაცული თითოეული დეპუტატის მიერ. ეს არის ის წესები, რომლებსაც წესით დაწერა არც სჭირდებათ, თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ ამ დღეების განმავლობაში ეს წესები არაერთხელ დაირღვა. თუ არ არის საკმარისი დაუწერელი წესები, ეს წესები უნდა დაწერო, — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

პარლამენტის სპიკერის მიმართ უარყოფით განწყობებს არ მალავს დეპუტატი დავით ჭიჭინაძე. „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ მის უკან პრემიერი დგას. ჭიჭინაძე სპიკერის და მამუკა მდინარაძის გადადგომაზე ხშირად საუბრობს.

უმრავლესობის სხვა წევრებისგან განსხვავებით, მან ღიად გამოხატა უკმაყოფილება ქცევის წესების დაწერის გამო. ჭიჭინაძეს განსაკუთრებით ის არ მოსწონს, რომ ეს დოკუმენტი კობახიძემ უნდა დაწეროს.

— თუკი ჩვენი ქცევა ჩვენი ამომრჩევლის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ვერავითარი საბუთი ვერ დამაკავებს, რომ ამ წესებს დავემორჩილო. თუკი ეს იქნება ჩვენი ამომრჩევლისა და მოქალაქეების ინტერესებში, ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე ვემორჩილები. რაღაც ქაღალდებით გამყარება სუსტ ადამიანებს სჭირდებათ. ადამიანს გააჩნია სიტყვა, შინაგანი ენერგია და ამით უნდა იხელმძღვანელოს. როდესაც ადამიანი დასმული კითხვების გამო ფილარმონიიდან გარბის, რა უნდა ვქნათ, საზოგადოებასაც ავუკრძალოთ კითხვების დასმა?! ქაღალდზე დაწერილი ქცევის წესები მე არ მჭირდება, — განუცხადა ჟურნალისტებს დავით ჭიჭინაძემ.

პარლამენტის სპიკერმა დეპუტატის განცხადებაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა და მხოლოდ ეს განაცხადა:

— ჭიჭინაძის განცხადებების კომენტირება არ მინდა. ჭიჭინაძის განცხადება თვითონ არის თავის თავის კომენტარი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა მიქაია: „ოცნებაზე“ სერიოზული კომენტარის გაკეთება შენს არასერიოზულობაზე მეტყველებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ ღირს „ქართულ ოცნებაზე“ სერიოზული საუბარი, რა რჩევებს აძლევს ტრამპს ირაკლი კობახიძე, რა შანსები მიეცათ გუგული მაღრაძესა და ნუკრი ქანთარიას, რატომ გვეკაიფება ხელისუფლება? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.**

***— „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ მათმა ხელისუფლებამ ასეულობით საწარმო გახსნა და ასეულობით ადამიანი სიღარიბიდან ამოიყვანა. ამ განცხადებამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ყველა ამბობს, რომ ხელისუფლება უკვე გვეკაიფება. თქვენ რას ფიქრობთ?***

— მამუკა მდინარაძემ ტვ პირველის ეთერში ასეთი რამ განაცხადა: „დღეს ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი პრობლემაა და უამრავი ადამიანი გაჭირვებაში ცხოვრობს, მაგრამ ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ პროგრესისაკენ და მთავარია, რომ სიღარიბიდან ასეულობით ადამიანი ამოვიდა. ერთ დღეში არაფერი წყდება. ჩვენ გვინდა, რომ ეს ყველაფერი მოხდეს ერთ დღეში. ეს ასე ვერ იქნება“.

ძალიან მიკვირს, რატომ აღშფოთდა საზოგადოება ამ განცხადების გამო. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო მათ: მამუკა მდინარაძე ამბობს, ასეულობით ათასი ადამიანი ამოვიდა გაჭირვებიდანო. და ამის შემდეგ თქვენ ბედავთ და ხელისუფლებას კეთილებს აგინებთ! არ გრცხვენიათ? ან ნამუსი სად დაკარგეთ, ან სინდისი?!

კარგი, ხელისუფლებას არც ნამუსი ჰქონია არასდროს, არც სინდისი და არც რცხვენოდა არაფრის, ვიცი, არც მომავალში შერცხვება, მაგრამ თქვენ... თქვენ რა დაგემართათ, თქვენც ხომ ხელისუფლება არა ხართ!

თქვენ ხომ ასეულობით ათასი სიღარიბიდან ამოსული ადამიანები ხართ, ხალხო! რატომ მალავთ ამას ყველაფერს და სახალხოდ რატომ არ უხდით მადლობას ხელისუფლებას? რატომ? მართლა თქვენზე „მზრუნველი“ ხელისუფლებასავით, სიღარიბიდან ამოსულებმა, თქვენც დაკარგეთ სინდისი, ნამუსი, მადლიერების განცდა, ჰაააა? ხომ თქვა მდინარაძე „ნუ პაგადიმ“, სიღარიბიდან ამოგიყვანეთო და მეტი რა გინდათ?

აააა, ვიცი, რაც გინდათ, ერთ დღეში გინდათ ყველანი მილიონერებად იქცეთ!

ვერ მოგართვით! თუმცა, ესეც არ არის პრობლემა, თუ მილიონერობა გინდათ, მაშინ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის მეშვიდე წლისთავზე სიღარიბიდან ამოსულებმა მომდევნო წლების განმავლობაში მინიმუმ ათჯერ გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ისევ „ოცნებას“ დაუჭირეთ მხარი და, როგორც დღეს ამოხვედით სიღარიბიდან, დღევანდელი ხელისუფლების ხელისუფლებაში ყოფნის სამოცდაათი წლის თავზე მილიონერებიც გახდებით!!!

მილიონერები გახდებით, საკუთარი დენდროლოგიური პარკებიც გექნებათ, საკუთარი სოლოლაკის სასახლეებიც და მილიარდერობაზეც გაიქაჩებით...

მერე? მერე კი ჩვენთან, სიღარიბეში დარჩენილებთან, სიღარიბიდან ვერამოსულებთან მოხვალთ ყვავილების დიდი თაიგულით ხელში და სინანულით შემოგვჩივლებთ, ჩვენსავით თქვენც რატომ არ დაიჯერეთ, რომ თავის მოტყუება, სიცრუით ტკბობა, მლიქვნელობა, უსინდისობა და ფარისევლობა ამქვეყნად დიდხანს ყოფნის ელექსირია.

***— იმედია, ხუმრობთ, ბატონო კახა.***

— სახუმაროდ არ გვაქვს საქმე, მაგრამ ვხუმრობ. აბა, ამ ხელისუფლებაზე როგორ შეიძლება ადამიანმა სერიოზულად ილაპარაკო. ამ მთავრობაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება უკვე შენს არასერიოზულობაზე მეტყველებს.

თვალს ვადევნებ ამ ხელისუფლების წევრების განცხადებებს და ათასი ფიქრი მიტრიალებს თავში. კარგა ხანი ვფიქრობდი იმაზე, თუ რით ჰგავს კალაძე ტატო ბარათაშვილის მერანს?! თქვენ წარმოიდგინეთ და... ქროლვით!!! თბილისის მერი სწორედ რომ ქროლვისადმი მიდრეკილებით ამ ბოლო დროს ერთი-ერთში დაემსგავსა ბარათაშვილის უსაზღვროდ მქროლავ მერანს!

...და თუ კანცელარიის მეთერთმეტე სართულზე ვაჟას არწივივით დაჭრილი პრემიერი ყვავ-ყორნებს იგერიებს და მისთვის ჩართული ტაიმერის იგნორირებით იწონებს თავს, ქართული პოლიტიკის მერან კალაძეს უკან მოსჩხავის თვალბედითი შავი ყორანი — რუსთავი 2, მაგრამ ვერ ეწევა...

სწორედ ამ ქროლვისას რუსთავი 2-ის ყორანმა ჟურნალისტმა მას ამას წინათ შეკითხვა დააწია. მერის პასუხმაც არ დააყოვნა: „თქვენ გგონიათ, გოთვერნულ შეკითხვას მისვამთ?“ იყო მერის პასუხი. მაგარია!!!

წარმომიდგენია ამის გაგონებაზე „ქართული ოცნების“ ოფისში მერის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებისა და კალაძის მომხრეების ჟივილ-ხივილი შეძახილებით: სალოოლ, კახა!“ ს-აღლღლუუ...

ისე, მართალი რომ ვთქვათ, სად კოკურნარმანიული ვირიშვილო-მაიმუნო და სად სამტრედიული გოთვერნული? რა შედარებაა! ასე რომ, ჩვენო მერო-მერანო, რუსთავი 2-ის გოთვერანი ყორნები შენ ვერას დაგაკლებენ. გასწი, იქროლე...

რადგან მერზე მიდგა საუბარი, ბელიაშვილის ქუჩის ინციდენტსაც შევეხები.



ბელიაშვილის ქუჩის სტადიონზე მოსალოდნელი ამხანაგური მატჩის მოლოდინში გატრუნული დედაქალაქის სიცოცხლით სავსე მერი, ნაცებით სავსე მერიაში დღის თათბირებზე, ვფიქრობ, უახლოეს მომავალში უფრო ეპოქალური და გოთვერნული ინიციატივების გაჟღერებით კიდევ უფრო დაიპყრობს ჩვენს გულებს...

ხო, ხო, ხო, ხო, რა შენძრეული მერი გყავთ, თბილისელებო. როგორ მშურს თქვენი!

***— რატომ გშურთ? ზუგდიდის მერს არ აწუხებს იდეები?***

— ჩვენს მერს არათუ ფრენა, ლაპარაკიც არ შეუძლია და მხოლოდ ცოცხით ხელში როლანდ ახალაიას ეზოს თუ გახვეტს წარმატებით, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, კაცი იმედით ცხოვრობსო და, ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს ზუგდიდის მერი იმ ცოცხს მოაჯდეს და თქვენთან ჩამოფრინდეს, დედაქალაქელებო!

მთავარია, რომ გამოსავალი ნაპოვნია. თუ ვიჩხუბებთ, მერე ერთმანეთში ამხანაგურ მატჩს ვითამაშებთ და ყველაფერი კარგად იქნება.

ასე რომ, ფოფხაძეებო, ჭიჭინაძეებო, ქანთარიებო, პაპუაშვილებო, მაღრაძეებო, ბესელიებო, თალაკვაძეებო, მდინარაძეებო, კობახიძეებო, მელიებო, კვირიკაშვილებო, ფეხბურთი ითამაშეთ, ფეხბურთი!

ისე, ფეხბურთის გარდა, ამხანაგური მატჩის ჩატარება რაგბიშიც შეიძლება, კალათბურთშიც, წყალბურთშიც და ა.შ. აბა, სხვა თქვენ არაფრის გამკეთებლები არა ხართ, არც შეგიძლიათ და ეს მაინც ქენით, იქნება და გამოგივიდეთ...

***— აშკარად კარგ ხასიათზე დაგაყენათ მეოცნებეთა არაადეკვატურობამ.***

— ცუდ ხასიათზე როგორ უნდა ვიყო, როცა ვგრძნობ, რომ სადაცაა ტრამპი ირაკლი კობახიძის გარეშე ნაბიჯს აღარ გადადგამს.

***— ეს საიდანღა დაასკვენით?***

— ირაკლი კობახიძის განცხადებებიდან. ამ დღეებში მან განაცხადა:

„არსებობენ ფსევდოლიბერალური ძალები, რომლებიც თანაბრად ებრძვიან საქართველოსა და აშშ-ის მოქმედ ხელისუფლებებს. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა „ენ დი აი“-ს თბილისის ოფისის ხელმძღვანელობა, რომლისთვისაც საქართველოში საკუთარი ხელისუფლების შეურაცხყოფა ჩვეულებრივი მოვლენაა“.

მინდა ვკითხო კობახიძეს, ტრამპმა თუ იცის ეს ამბავი, ირაკლი, ბიძია, ალბათ არ იცის, თორემ მიიღებდა შესაბამის ზომებს.

იმედია, ახლა მაინც მოეგება გონს, სპეციალურ ბრიფინგს გამართავს, დაგმობს „ენ დი აი“-ს „ძირგამომთხრელ“ საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში და არა მხოლოდ... ვფიქრობ, თავად აშშ-ის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედ „ენ დი აი“-სა და „ფრიდომ ჰაუსს“ აშშ-ის პრეზიდენტი სათანადო პასუხს გასცემს და, რაც მთავარია, დარწმუნებული ვარ, ტრამპი უყურადღებოდ არ დატოვებს შენს ძალისხმევას, ამხილო და სააშკარაოზე გამოიტანო ფსევდოლიბერალური ძალების, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერი საქმიანობა ჩვენს ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

არ არის გამორიცხული, მომავალში ტრამპმა თავის ბრიფინგებზე კობახიძესთან ერთად მიიწვიოს გუგული მაღრაძე და ნუკრი ქანთარიაც. შესაძლოა, ის პარალელურად იმ „გაუგებრობის“ გარკვევაში დაგეხმაროთ, რომლის წინაშეც ამ ბოლო დროს უმრავლესობის წევრები დადექით.

***— ტრამპმა უნდა მოაგვაროს „ოცნების“ შიდა პრობლემები?***

— აბა, ბიძინას ამათთვის არ სცალია და ვიღაცამ ხომ უნდა მიხედოს „ოცნებას“. ისევ პარლამენტის სპიკერს მივმართავ: ჩემო ირაკლი, როგორც ჩემი წყარო თეთრი სახლიდან მატყობინებს, ტრამპი სირიის პრობლემის მოგვარების გადადებასა და უკან დახევასაც აპირებს, როგორც ჩემი წყაროსთვის გახდა ცნობილი, „ჭკვიანი რაკეტებით“ სირიის დაბომბვამდე იგი ჭკუას ქართველ ექსპერტებს: ხარშილაძეს, გოგოლაშვილსა და მათ ძმებს დაეკითხება!

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და „ქართული ოცნების“ „ფრაერ“ დეპუტატებსაც მივმართავ: შექმნილ ვითარებაში მთავარია, რას გეტყვით „ქურდი“. ჰოდა, ააკითხეთ მას!

ადგილობრივი მასშტაბის „ქურდები“ თქვენს „მოყომარებას“ ვერ შეძლებენ. მათ მხოლოდ შეუძლიათ, ფეხბურთის თამაში შემოგთავაზონ! ამ „სპორის“ გადაწყვეტას მხოლოდ საკავშირო მასშტაბის „ქურდი“ სჭირდება! დაუჯერეთ თქვენს თანაგუნდელ ნუკრი ქანთარიას, ააკითხეთ „ქურდს“. ნუკრის ხომ ქურდებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს...

მართალია, „ნევიდიმკას“, „კობზონისა“ და „ნუ პაგადის“ „სტოსაობას“ „ჯიგრები“ საბოლოოდ ვერ აიტანდით, მაგრამ „სხოდკაზე“ მთავარი ქურდის საბოლოო სიტყვას და, აქედან გამომდინარე, ქურდულ-პარტიულ დისციპლინას ყველა უნდა დაექვემდებაროთ! ააკითხეთ „ქურდს“, დაგალაგებთ, საქმეს გაგირჩევთ, თუმცა, მეეჭვება, თქვენთვის მოიცალოს.

# სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 დაწესებულების ყოფილი დირექტორი და მისი მოადგილე დააკავეს

პროკურატურამ 2012 წლამდე პერიოდში, პატიმართა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ორგანიზების ბრალდებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №6 დაწესებულების ყოფილი დირექტორი, მისი ყოფილი მოადგილე და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი დააკავა, — ამის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი.

მათივე ცნობით, დაკავებულ პირებს ბრალდება უკვე წარედგინათ და საგამოძიებო უწყებამ მიმართა სასამართლოს, მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით.

„ინტერპრესნიუსი“ პროკურატურის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

— საქართველოს პროკურატურამ ჩატარებული გამოძიების შედეგად 2012 წლამდე პერიოდში, პატიმართა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ორგანიზების ბრალდებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.რუსთავის №6 დაწესებულების ყოფილი დირექტორი ს.ხ., დირექტორის ყოფილი მოადგილე ლ.ბ. და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ყოფილი უფროსი რ.ჯ. დააკავა.

2015 წლის 20 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე — „გეგენავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) პროცედურული ნაწილის დარღვევა პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, რის საფუძველზეც სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ეფექტიანი გამოძიების ჩატარებაზე. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე და შესაბამისად გამოძიების მსვლელობაზე ზედამხედველობას ახორციელებდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი.




გამოძიებით დადგინდა, რომ 2012 წლამდე პერიოდში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.რუსთავის №6 დაწესებულებაში პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას ჰქონდა სისტემური ხასიათი. კერძოდ, 2006 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში, დაწესებულების დირექტორმა, მისმა მოადგილემ და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა, საპყრობილის რეჟიმის დებულების სრული იგნორირებით, შეიმუშავეს მსჯავრდებულებთან მოპყრობის საკუთარი წესები მათი დასჯის, დაშინების და უსიტყვო მორჩილების მიზნით. დასახელებულ პირთა ორგანიზებით სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლები მსჯავრდებულებს ეპყრობოდნენ დამამცირებლად და არაადამიანურად, აყენებდნენ ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში. ბრალდებულთა ორგანიზებით პატიმრებს ართმევდნენ კანონით მინიჭებული პირადი ჰიგიენის ნივთებს, საწოლისთვის განკუთვნილ თეთრეულს, იძულებით აშიშვლებდნენ და მათი ნების საწინააღმდეგოდ შიშველ მდგომარეობაში ამწყვდევდნენ კარცერში, სადაც დაბალი ტემპერატურის მიუხედავად, გაუსაძლის მდგომარეობაში ამყოფებდნენ მრავალი დღის განმავლობაში. აღნიშნული სახის არაადამიანურ მოპყრობას ქ.რუსთავის №6 დაწესებულებაში ჰქონდა სისტემური ხასიათი და გამოიყენებოდა განურჩევლად, პატიმრების დასჯისა და დაშინების მიზნით.

2017 წლის 20 ნოემბერს, ამავე საქმეზე მთავარი პროკურატურის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად პასუხისგებაში მიეცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.რუსთავის №6 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების სამი ყოფილი თანამშრომელი, რომლებიც სწორედ დაკავებულთა ორგანიზებით ახორციელებდნენ პატიმართა მიმართ დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას. სამივე პირმა აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან, ამ ეტაპისთვის მათი ბრალდების საქმე არსებითად იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

რაც შეეხება დაკავებულ პირებს, მათ უკვე წარედგინათ ბრალდება და საგამოძიებო უწყებამ მიმართა სასამართლოს მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტებით (მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ დამცირება, არაადამიანური, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს და მორალურ ტანჯვას აყენებს მათ.), რაც სასჯელის სახედ და ზომად ოთხიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს პროკურატურა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე იძიებს 27 სისხლის სამართლის საქმეს. ყველა აღნიშნული დანაშაული ჩადენილია 2012 წლამდე პერიოდში. ჩატარებული გამოძიების შედეგად, 2017-2018 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 13 პირის მიმართ 5 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე. გარდა ამისა, ყველა საქმეზე ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომელთა დასრულების შემდეგ პროკურატურა საზოგადოებას მიაწვდის ამომწურავ ინფორმაციას, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# კახა კუკავა: „დღეს მთავარი ინტრიგა ოპოზიციაშია და არა ხელისუფლებაში“

ნონა ცაბაძე

**ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა აფასებს.**

***– ბატონო კახა, დღეს უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ როგორც ქუხს, ისე არ წვიმს. რა ხდება, დალაგდა „ოცნებაში“ სიტუაცია, რა პროცესები მიმდინარეობს?***

– უმრავლესობა შეიძლება დაშოშმინდეს დროებით, განსაკუთრებით იმის გამო, რომ იქ არის ფინანსური ზემოქმედების საშუალებები უმრავლესობის წევრებზე, მაგრამ ის წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიქმნა, საბოლოო ჯამში, არ არის მოგვარებადი, გამომდინარე იქიდან, რომ 2020 წლის მოახლოებასთან ერთად, ბევრი სხვადასხვა ჯგუფი დაიწყებს პოზიციების გარკვევას.

***– პოზიციების გარკვევას რასთან დაკავშირებით?***

– თქვენ იცით, რომ 2020-ში „ქართული ოცნება“ ვერ მიიღებს იმ პროცენტს, რომელიც ჰქონდა 2016-ში და ამიტომ ყველა მათგანს აინტერესებს თავისი ადგილი და ამ ადამიანებს, ე.წ. მოტოვებულებს რჩებათ შთაბეჭდილება, რომ მათ მომავალზე არავინ იზრუნებს და რეალურად ამის გამოა დაწყებული ეს დაპირისპირება.

***– შიდა ბრძოლებია?***

– დიახ, შიდა ბრძოლები მიმდინარეობს. ამ ახალგაზრდა ლიბერალების წინააღმდეგ აღდგნენ ძველი დინოზავრები.

***– სადამდე მიიყვანს ეს პროცესები „ქართულ ოცნებას“?***

– „ქართული ოცნება“ მიიყვანა უკვე პროცესებმა იმ მდგომარეობამდე, რომ ის არის მოწყვლადი და დასუსტებული. აქ, უბრალოდ, მნიშვნელოვანია ის, ოპოზიციურ ფლანგზე გამოჩნდება თუ არა და როდის გამოჩნდება ალტერნატივა, თორემ „ქართული ოცნება“ დღეს არის გამზადებული ასაკეპად და დასამხობად.

***– შეჩერდა „ოცნებიდან“ დეპუტატების გასვლის პროცესიო...***

– ვერ გეტყვით, მე არ მომისმენია საჯარო განცხადებები ამის თაობაზე. გული ძალიან დამწყდება, თუ გედი ფოფხაძე გააკეთებს იმ განცხადებას, რომელიც არ უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომელსაც პრინციპულობასა და პოლიტიკოსობაზე აქვს პრეტენზია. ეს ძალიან დაემსგავსებოდა ნავერიანისა და ჯაშის განცხადებებს და მე გედი ფოფხაძეზე უკეთესი წარმოდგენა მაქვს.



***– ანუ შესაძლოა აღარ დატოვოს მან უმრავლესობა, აქეთ მიანიშნებთ?***

– დიახ, ჯერჯერობით ეს ინფორმაცია ვრცელდება, თუმცა მისი საჯარო განცხადება არ მომისმენია ამის თაობაზე. ამიტომ მე ვურჩევდი მას, რომ მისი უმრავლესობაში დარჩენა იქნება მისი პოლიტიკური საქმიანობის დასასრული.

***– ითქვა, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩაერთო პროცესებში და მან მოაგვარა სიტუაცია.***

– ეს ყველაფერი კარგად ვიცი. მე რომ უმრავლესობიდან გავდიოდი, მაშინ ბიძინა ივანიშვილი არ იყო, მაგრამ მაშინ ვინც იყო „ბიძინა“, იმანაც დამირეკა, იმისმა ოჯახმაც, მთავრობამაც, პარლამენტმაც, შსს-მაც, მეგობრებმაც და ყველამ. პოლიტიკოსი იმით განსხვავდება რიგითი მოკვდავებისაგან, რომლებიც ამ ყველაფერზე არიან დამოკიდებულნი, რომ პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს ხანდახან არას თქმა და პოლიტიკოსი რომ იტყვის არას, მის სიტყვას უნდა ჰქონდეს ფასი!

***– ანუ გედევან ფოფხაძემ არ უნდა შეცვალოს პოზიცია?***

– გედი ფოფხაძემ თქვა, ჩემთვის მიუღებელია ნინია კაკაბაძის არჩევა და ვტოვებ უმრავლესობასო, ახლა გიორგი კვირიკაშვილმა რა უნდა აუხსნას ფოფხაძეს, რომ ნინია კაკაბაძე არც ისე ცუდი გოგოა, როგორც შენ გგონია და ძალიან უყვარს ჩვენი პატრიარქი თუ რა უნდა უთხრას? მე წარმოდგენილიც კი არა მაქვს, კვირიკაშვილთან შეხვედრამ რა უნდა შეცვალოს. გედის რომ ეთქვა, ჩვენ ფრაქციის შიგნით გვაქვს გარკვეულ საკითხებზე უთანხმოებაო, ასეთ შემთხვევაში გასაგები იქნებოდა, რომ ეს საკითხები შეიძლება მოგვარდეს, მაგრამ მან ეს მიზეზი დაასახელა, პოლიტიკური კომპესიის გამო უთანხმოება და რა შეიცვალა ამ ეტაპისთვის?! აქ ორი ვარიანტია...

***– კერძოდ?***

– ან „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაიზიაროს გედი ფოფხაძის პოზიცია, რაც არის ნონსენსი. გვესმის ყველას, რომ „ქართული ოცნება“ არ იტყვის, რომ ის მხარს არ უჭერს ნინია კაკაბაძესა და ზოგადად ლიბერალურ სეგმენტს, ან მეორე ვარიანტია, რომ გედიმ უნდა გაიზიაროს ლიბერალების პოზიცია. გედი მენანება ძალიან ამ ყველაფრისთვის.

***– როგორ მოხდა, რომ ლიბერალურმა ფრთამ გაიმარჯვა „ოცნებაში“? ამბობენ, რომ შიგნით ისინი ძალიან გაძლიერდნენ. ვის აწყობს დღეს მათი გაძლიერება?***

– ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილმა მოატყუა ქართველი ხალხი და ქართველმა ხალხმაც თავი მოიტყუა. ბიძინა ივანიშვილი არის ათეისტი, ის არის ლიბერასტი, რომელიც აშენებს ეკლესიებს. ეს იყო ფარისევლური გათვლა და ქართველი ერი ამაზე წამოეგო და მოტყუვდა, რომ ეს ადამიანი არის ქველმოქმედი. ივანიშვილმა ჯერ საბჭოთა კავშირის დროს მოიპარა მილიონები, ახლა ქართველ ხალხს ატყავებს და ჩვენს ხარჯზე შოულობს მილიარდებს. მილიონს რომ იშოვი, რა პრობლემაა, რომ 20 ათასი დოლარი ეკლესიის ასაშენებლად გაიღო ან ვინმე გაუშვა გერმანიაში სამკურნალოდ. ამან 2012-2013 წლებშიც იმუშავა, მაგრამ 2020-ში აღარ იმუშავებს! „ქართულ ოცნებას“ შანსი აღარ აქვს. ჯერი დღეს ოპოზიციაზეა, ოპოზიციური სეგმენტი უნდა გაძლიერდეს!

***– „ოცნებაშივე“ შეიქმნება ახალი ოპოზიცია და დღეს ამ პროცესებს ვხედავთო.***

– კი ბატონო, ვისმენთ ამ განცხადებებს, მაგრამ მე არა მგონია, რომ ვინმემ „ოცნებაშივე“ შეძლოს და დააფუძნოს რამე ოპოზიციური ჯგუფი. ჩვენ კი ვისმენთ მათგან განცხადებებს, მაგრამ ნუ შეგვეშლება, ამ განცხადებების ავტორებში არცერთი არ არის არც ჟვანია, არც სააკაშვილი დ არც კობა დავითაშვილი, არ არის იმ წონის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც წავა და ოპოზიციურ მოძრაობას შექმნის. ეს არის ხალხი, რომელიც, დიდი-დიდი, გამოვა „ქართული ოცნების“ ფრაქციიდან, მაგრამ იტყვის, მე მაინც ბიძინა ივანიშვილის ერთგული ვარ და მის გუნდში ვრჩებიო. ეს პოლიტიკურ კონფიგურაციას არ შეცვლის.

***– ითქვა ისიც, რომ თავად ივანიშვილი შექმნის ახალ ოპოზიციას.***

– კი ბატონო, შექმნას, მაგრამ ახალს არაფერს უნდა ველოდეთ. დღეს „ქართული ოცნება“ აღმოჩნდა უფრო დიდი ჭაობი, ვიდრე მოქალაქეთა კავშირი და ნაციონალური მოძრაობა, იმიტომ, რომ მოქკავშირსა და ნაცმოძრაობაში მოიძებნა რესურსი, რომ შიგნით შექმნილიყო რამდენიმე პოლიტიკური გუნდი. „ქართულ ოცნებაში“ ამის რესურსი არ იკვეთება. მე არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ის დეპუტატებიც კი „ქართული ოცნებიდან“, რომლებიც შედარებით სიმპათიურად გამოიყურებიან, აბსოლუტურად ვერ ვხედავ რესურსს, რომ რომელიმე მათგანმა რამე პოლიტიკური მოძრაობა დაიწყოს. ისინი არიან, მაქსიმუმ, მდინარაძეს რომ დაუპირისპირდებიან, ჰა-ჰა კობახიძეს, ეგ ხალხი. ბიძინა ივანიშვილს რომ დაუპირისპირდებიან, ასეთ პოლიტიკოსს „ქართულ ოცნებაში“ ვერ ვხედავ.

***– კახი კალაძეზე რას იტყვით?***

– კალაძე არის, რა თქმა უნდა, მთავარი ინტრიგა, თუმცა კალაძეც ოპოზიციაზეა დამოკიდებული და მასაც არ ჰყავს რესურსი. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად გამოაჩინა ამ საპარლამენტო მოვლენებმა, რომ ის ხალხი, რომელიც პარლამენტში ბოლომდე გაკოტრდა, ბოლომდე დისკრედიტებული და კომპრომეტირებულია, სულ კალაძის კადრები არიან. ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ კალაძეს არანაირი პოლიტიკური გუნდი არ ჰყავს. გასაგებია, რომ ამ გაკოტრებულ გუნდთან, კობახიძეებთან და ჩუგოშვილებთან, ის ვერ გააკეთებს ახალ მოძრაობას.

***– ანუ?***

– ანუ კალაძის პოლიტიკური მოძრაობები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდება ოპოზიციურ ფლანგზე. თუ ოპოზიციურ ფლანგზე არ შეიცვალა რამე მნიშვნელოვნად, კალაძე, მე ვფიქრობ, ვერ გარისკავს ცალკე თამაშის დაწყებას. 2020 წლამდე დიდი დროა, მაგრამ მას მკაფიო და ძლიერი გუნდი არ ჰყავს. მისი გუნდი აღარ არის. კალაძემ მოიყვანა კობახიძე პარტიაში, რომელიც უნდა ყოფილიყო ახალი სახე, ახალგაზრდა ლიდერი, უმაღლეს პოსტზე დანიშნეს და, ნაცვლად იმისა, რომ ამ ადამიანს ეზრუნა პოლიტიკურ კარიერაზე, მან თანამდებობაზე არჩევიდან ზუსტად სამ თვეში დაიმარხა თავისი თავი თვითონ. ეს პროცესი კალაძესაც ურტყამს პოლიტიკურად. ამიტომ კალაძეს გუნდის არარსებობა ხელს შეუშლის სამომავლოდ. დღეს ოპოზიცია უნდა გაძლიერდეს.

***– ეს რამდენად არის შესაძლებელი?***

– მე ვფიქრობ, დღეს მთავარი ინტრიგა ოპოზიციაშია და არა ხელისუფლებაში. ოპოზიცია ძალიან სუსტია, მაგრამ ორი ცოცხალი უჯრედიც არის აქ და არის შანსი, რომ რაღაც მოხდეს. „ქართულ ოცნებაში“ კი არცერთი ქართული უჯრედი არ არის, ყველა უჯრედი მკვდარია. ერთი პატარა უჯრედი ფეთქავს ფოფხაძის სახით და ხვალ-ზეგ გამოჩნდება, ეს უჯრედიც მოკვდება თუ გადარჩება.

## პროკურორი: „გიორგი ონიანის საქმეზე საპროცესო შეთანხმება მიღწეულია“

– გიორგი ონიანის საქმეზე საპროცესო შეთანხმება მიღწეულია, – ამის შესახებ დღევანდელ სასამართლო პროცესზე პროკურორმა ამირან გულუაშვილმა განაცხადა.

მოსამართლე დაინტერესდა მხარეებისგან, თუ რა ხდებოდა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. პროკურორმა აღნიშნა, რომ საპროცესო შეთანხმება მიღწეულია, თუმცა ვიდრე პროკურორი საპროცესო შეთანხმებას დეტალურად გააცნობდა სასამართლოს, მსჯავრდებულმა გიორგი ონიანმა პროცესის ნაწილობრივ დახურვის თხოვნით მიმართა სასამართლოს და განმარტა, რომ მის მიერ გასაკეთებელი განცხადება შეიცავდა პირად ინფორმაციას. შესაბამისად, სურდა პროცესის ნაწილობრივ დახურვა.



მოსამართლემ გაიზიარა მსჯავრდებულის შუამდგომლობა და დღევანდელი სასამართლო პროცესი სააპელაციო სასამართლოში ნაწილობრივ დახურა.

ყოფილი სამართალდამცველსა და ადვოკატს, გიორგი ონიანს ბრალი უკანონო დაკავებაში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში ედება. საქალაქო სასამართლომ მას 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

## „ცენტრ-პოინტმა თავისი ვალდებულებები რომ შეასრულოს, მაია რჩეულიშვილი ციხიდან უნდა გამოვიდეს“

ნონა ცაბაძე

**სამშენებლო კომპანია ცენტრ-პოინტის ირგვლივ დაწყებული ვნებათაღელვა ჯერჯერობით არ ცხრება. საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ კომპანია დაზარალებულების დაკმაყოფილებას შუამავალი კომპანიის საშუალებით აპირებს და ეს კომპანია ემკვადრატია. ცენტრ-პოინტის ამჟამინდელი ხელმძღვანელი გუკა რჩეულიშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, ვალდებულებები რომ ბოლომდე იქნას მიყვანილი, ამისთვის აუცილებელია მაია რჩეულიშვილი ციხიდან გათავისუფლდეს.**

მეორე მხრივ, დაზარალებულები ეჭვის თვალით უყურებენ დაწყებულ პროცესს და აცხადებენ, რომ შუამავალი კომპანია ემკვადრატი მათ არანაირ ხელშეკრულებებს არ უფორმებს და შიშობენ, რომ კვლავაც მოტყუებულები დარჩებიან.

სიტუაციის გასარკვევად ჩვენ გუკა რჩეულიშვილს ვესაუბრეთ.

***– გუკა, რა ხდება რეალურად ცენტრ-პოინტის გარშემო? რატომ გამოთქვამენ დაზარალებულები უკმაყოფილებას? საუბარია, რომ მათი ინტერესი გათვალისწინებული არ არის, ასეა? რა ხდება, რეალურად რა პროცესი მიმდინარეობს?***

– ჩვენ შეხვედრა გვქონდა პროკურატურაში. დაზარალებულებს შეხვდა კომპანიის წარმომადგენელი, სადაც ყველა დეტალზე შედგა საუბარი. გავაცანით ჩვენი გეგმები თუ რას ვაპირებთ. მესმის, რომ დაზარალებულები ამდენხნიანი ლოდინის შემდეგ სამართლიანად ეჭვობენ, რეალურად შედგება თუ არა ეს გარიგება.

***– უფრო დეტალურად რომ გვითხრათ?***

– ჩვენ მათ გავაცანით ხელშეკრულება თუ რა პასუხისმგებლობას იღებს ემკვადრატი თავის თავზე. ასევე საუბარი იყო იმაზე, ჩვენი მხრიდან რა ვალდებულებები უნდა შესრულდეს, რომ ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდეს. ჩვენ მთელ ჩვენს აქტივებს, ვალდებულებებს გადავცემთ ემკვადრატს. ხელშეკრულებას უკვე ხელი აქვს მოწერილი, თუმცა ძალაში რომ შევიდეს, ამისთვის არის წინაპირობები შესასრულებელი. ამ წინაპირობების შესასრულებლად განისაზღვრა 6 თვის ვადა.

***– რას გულისხმობს ეს წინაპირობები?***

– ეს გულისხმობს მიწების გამიჯვნებს, საგადასახადო შეღავათებზე მუშაობას, ახალი ხელშეკრულების დადებას და ასეთ ტექნიკურ საკითხებს. ამ ყველაფერზე ზეპირსიტყვიერი შეთანხმება გვაქვს მერიასთან და სხვადასხვა ორგანოსთან და ახლა იწყება საბუთების მოწესრიგება.

***– თქვენ ადრე განაცხადეთ, საბოლოოდ რომ მოწესრიგდეს ეს პროცესი, ხელი მოეწეროს შეთანხმებას და დაკმაყოფილდნენ დაზარალებულებიც, ამისთვის საჭიროა მაია რჩეულიშვილი გამოვიდეს ციხიდანო. შეიცვალა რამე ამ მიმართულებით?***



– არა, ჯერჯერობით ვერაფერი ვერ შეიცვალა ამ მიმართულებით. თუ ჩვენ ამ საკითხზე არ შევთანხმდით, ეს გარიგება ფიზიკურად ვერ შედგება.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ 6 თვეში მაიას გარეშე ამ ყველაფრის მოგვარებას ვერ მოვასწრებთ. ისედაც ყველას გვესმის, რომ ამხელა გარიგებებს ციხეებში არ დებენ. იმიტომ, რომ ეს შესაძლოა საკმაოდ მყიფე აღმოჩნდეს. ეს ძალიან ადვილი შესადავებელია ყველა მხრიდან და მარტივადაა შესაძლებელი მისი გაბათილება. ამიტომ აუცილებელია მაია გარეთ იყოს.

***– რამდენად გაქვთ ამის იმედი?***

– ეს ამ ხალხის გადასაწყვეტია. მათ ინტერესში ხომ არის, რომ დასრულდეს მათი მშენებლობები?! პროცესი დაწყებულია, ემკვადრატი იღებს სრულად ვალდებულებებს ახლა საჭიროა მოგვარდეს ტექნიკური საკითხები, რომელიც მაიას გარეშე ვერ მოგვარდება!

# ევროკავშირი უნგრეთს სანქციებს უწესებს?



## რას მოითხოვს ევროპისაგან მსოფლიო ისლამისტური ლიგა

მარიამ მჭედლიშვილი

**ევროპარლამენტში ევროკავშირის წევრი ქვეყნები უნგრეთის საკითხის განხილვას იწყებენ. არ არის გამორიცხული, ბუდაპეშტი გადაცდომებისთვის დაისაჯოს.**

ევროკავშირმა წინა წლებში ბევრი საყვედური გამოთქვა უნგრეთის ხელისუფლების მიმართ. ევროპელი ლიდერები უნგრეთის პრემიერ ვიქტორ ორბანს ევროპული ფასეულობების უგულებელყოფაში ადანაშაულებდნენ. კრიტიკის საგანი მრავალმხრივი იყო — მიგრანტებისადმი შეუწყნარებლობითა და სოროსის ინსტიტუტის დახურვის მცდელობით დაწყებული, არადემოკრატიული კონსტიტუციით დამთავრებული.

უნგრეთის საპარლამენტო არჩევნებში ვიქტორ ორბანის კონსერვატიულ-ნაციონალისტური „უნგრეთის სამოქალაქო კავშირის" კიდევ ერთხელ გამარჯვებამ დასავლეთი უფრო სერიოზულად დააფიქრა.

რამდენიმე ევროდეპუტატმა განაცხადა, რომ უნგრეთი ბღალავს ევროკავშირის ღირებულებებს და ხშირად არღვევს ადამიანის უფლებებს. პრობლემებია ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოში. ჩვეულებრივი სასამართლოები ექვემდებარებიან აღმასრულებელ ხელისუფლებას. იზღუდება სიტყვისა და რელიგიური თავისუფლება, ასევე გაერთიანებების შექმნის უფლება. უნგრეთის ბოლო არჩევნები კრიტიკულად შეაფასა ეუთომ. მისი დასკვნით, არჩევნებზე არ არსებობდა კონკურენტული გარემო.

ვიქტორ ორბანს ნათქვამი აქვს, რომ უნგრეთი ვალდებული არ არის, დაემორჩილოს ევროკავშირის დირექტივებს. ამასთან, იგი უარს არ ამბობს ევროკავშირის სუბსიდიებზე.

ბრიუსელთან დაპირისპირებული უნგრეთის ევროკავშირიდან გამოყოფის საკითხი არ დამდგარა. ევროპელ ლიდერებს ის აშფოთებთ, რომ უნგრეთს ევროპაში შემოაქვს თავისი წესები. ორბანის იდეები ფეხს იკიდებს პოლონეთში, ავსტრიაში, ესპანეთსა და იტალიაში. უნგრეთსა და პოლონეთში ამბობენ, რომ ისინი არალიბერალურ დემოკრატიას მისდევენ. ევროპული დემოკრატია კი ლიბერალურია.

ევროპულ ღირებულებებს საქართველოში აღიარებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იმ დროს, როცა პარტიის ფაქტობრივი ლიდერი, სააკაშვილი, სხვას ამბობს. იგი აღფრთოვანებულია „მეგობარი" ორბანის პარტიის გამარჯვებით. სააკაშვილი აცხადებს, რომ სიტუაცია ევროპაში იცვლება და საქართველოშიც ორბანის მსგავსი ეროვნული ძალები უნდა მოვიდნენ სათავეში.

ევროპარლამენტში უნგრეთში დაფიქსირებულ დარღვევებს შეისწავლიან, შემდეგ კი ბუდაპეშტის წინააღმდეგ შესაძლო სანქციებს შეიმუშავებენ.

უთანხმოების ერთ-ერთი საგანი რელიგიაა. ევროკავშირში აცხადებენ, რომ უნგრეთი მუდმივად არღვევს არაქრისტიანების უფლებებს.

საერთაშორისო ორგანიზაცია „მსოფლიო ისლამისტური ლიგა" მუსლიმების შევიწროების გამო მთელ ევროპას უყენებს პრეტენზიას. ეს ორგანიზაცია მოითხოვს ანტირელიგიური რიტორიკის აკრძალვას.

ამას წინათ ევროპაში მყოფი იმამები შეხვდნენ ევროკომისიის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე ისაუბრეს როგორც მუსლიმანების დისკრიმინაციაზე, ისე ისლამური ექსტრემიზმის საფრთხეზე.

— ევროპამ უნდა გაააქტიუროს ძალისხმევა მუსლიმების ინტეგრაციისა და რელიგიური შუღლის აღმოფხვრის მიზნით, — აცხადებს „მსოფლიო ისლამისტური ლიგის" მეთაური მოჰამედ ალ-ისა.

მისი თქმით, ევროპაში აუცილებელია როგორც ასიმილაციის ხელშეწყობა, ისე ექსტრემიზმის ყველა ფორმასთან ბრძოლა. ექსტრემიზმი და ისლამოფობია ისეთი მოვლენებია, რომლებიც ემუქრება გლობალურ უსაფრთხოებას.

ლიგის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ექსტრემიზმის დაკავშირება ისლამთან სწორი არ არის.

ევროპაში ყველა ასე არ ფიქრობს. „ისლამისტურ ლიგას" ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებშიც ჰყავს გამკრიტიკებლები. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ორგანიზაცია რელიგიურ შუღლს აღვივებს.

ბელგიის მთავრობამ საუდის არაბეთთან გაწყვიტა 50-წლიანი ხელშეკრულება ბრიუსელში არსებული მეჩეთის იჯარის თაობაზე. ეს 2016 წლის ტერაქტების შემდეგ მოხდა.

## ფოთში ახალგაზრდა მამაკაცმა მამინაცვალი მოკლა




ფოთში, ბათუმის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცმა მამინაცვალი მოკლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## დიღმის მასივში, ერთ-ერთ კორპუსში ფეხსაცმლის სახელოსნო და ლიფტის შახტი დაიწვა



თბილისში, დიღმის მასივში, 14 სართულიან კორპუსში ფეხსაცმლის სახელოსნო და ლიფტის შახტი დაიწვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, შემთხვევამ კორპუსის სადარბაზოში დიდი დაკვამლიანება გამოიწვია. მათივე ცნობით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## 11 მაღაზიის გაქურდვა — ავსტრიაში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს




ავსტრიის ქალაქ ლინცში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. მათ ავსტრიის სხვადასხვა ქალაქში 11 მაღაზიის გაქურდვა ედებათ ბრალად.ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დაკავებულმა 26 და 27 წლის ახალგაზრდებმა საერთო ჯამში, 3.000 ევროს ღირებულების საქონელი მოიპარეს,დაკავებული პირები მართავდნენ ავტომობილს, რომელსაც ყალბი გერმანული სანომრე ნიშანი ჰქონდა, ერთ-ერთ მათგანს ფალსიფიცირებული მართვის მოწმობა ჰქონდა და ის ამჟამად საპატიმროში იმყოფება. ავსტრიამ მეორე დაკავებული პირის საქართველოში დეპორტაცია მოახდინა.

## განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰაშიშის" საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, 1992 წელს დაბადებული გ.კ. დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შს სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა გ.კ. თბილისში, DHL-ის ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

— პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ამანათის სახით მიღებული, პირველადი ინფორმაციით, 9 კილოგრამი „ჰაშიში" ამოიღო, რომელზეც დანიშნულია ექსპერტიზა. გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული ამანათი ნეპალიდან გერმანიის გავლით არის გამოგზავნილი.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 262-ე მუხლით მიმდინარეობს, — ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

## მუხიანში მკვლელობა მოხდა




სამართალდამცველებმა მუხიანში მომხდარი მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული გ.ა. დააკავეს. მას ბრალად ედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

— მიმდინარე წლის 13 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოვიდა შეტყობინება, რომ მუხიანში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსთან ნანახი იქნა დაჭრილი ახალგაზრდა მამაკაცი. პოლიცია შემთხვევის ადგილზე უმოკლეს დროში გამოცხადდა. მამაკაცს ქვედა კიდურებზე ცეცხლნასროლი ჭრილობები აღენიშნებოდა. დაჭრილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა, თუმცა, მიყენებული ჭრილობების შედეგად, იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ოპერატიულად ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან რამდენიმე საათში, სასაზღვრო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის" ტერიტორიაზე, გარდაცვლილის ნათესავი — გ.ა. ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ გ.ა.-ს სახელზე რეგისტრირებული დანაშაულის ჩადენის იარაღი — „რემუმინგტონ 700" -ის მოდელის შაშხანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო. შემთხვევის ადგილიდან, ასევე, ამოღებულია ტყვიის 2 მასრა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, — ნათქვამია ინფორმაციაში.

## ერთ-ერთ უნივერსიტეტში სპორტული შეჯიბრის დროს პირის დაჭრის ფაქტზე ბრალდებულს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა




— განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ პირს სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული ბ.ხ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 25 ივნისს, ქ.თბილისში, შატილის ქუჩაზე მდებარე ,,აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" სპორტულ დარბაზში, სპორტული შეჯიბრის მიმდინარეობის დროს, ბ.ხ.-სა და ლ.ა.-ს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. აღნიშნულით განაწყენებულმა ბ.ხ.-მ, განზრახ მოკვლის მიზნით, ლ.ა.-ს სხეულის სხვადასხვა არეში რამდენჯერმე დაარტყა დანა, რა დროსაც სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბ.ხ. 2017 წლის 27 ივნისს ზესტაფონის რაიონში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბ.ხ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## თბილისის ცენტრში 22 წლის გოგოს ყელი გამოჭრეს




თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, 22 წლის გოგოს ყელი გამოჭრეს.

გავრცელებული ინფორმაციით, მოკლულს 2 შვილი ყავს და ბარნოვის ქუჩაზე ქირით ცხოვრობდა.

## „ჟანგბადის ბოთლი ვერ დაუდგეს, კაცი მოკლეს" — რას ყვებიან თვითმფრინავის მგზავრები, 28 წლის ბიჭის გარდაცვალებაზე



თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გარდაცვლილი მამაკაცის გარდაცვალების დეტალებზე თვითმფრინავში მყოფი მგზავრები საუბრობენ.

„ტვ. პირველის" ექსკლუზიურ ვიდეოში, მოქალაქეები ამბობენ, რომ ახალგაზრდას ჟანგბადი დროულად ვერ დაუდგეს და სასწრაფო დახმარებამაც დააგვიანა.

— კაცი უჟანგბადობით უნდა გაგუდოთ, ექიმი არ გყავთ თვითმფრინავში. თვითმფრინავში კაცი მოკლეს, ჟანგბადი ვერ დაუდგეს. ბრმები არ ვართ, — მიმართავს ადმინისტრაციას ერთ-ერთი მგზავრი.

მგზავრების თქმით, პატრული სასწრაფო დახმარების ექიმზე ადრე მოვიდა.

## ოზურგეთში „თიბისი" ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს



როგორც „გურიის მოამბისთვის" გახდა ცნობილი, ოზურგეთში „თიბისი" ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს.

შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა.

გამოძიებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა, სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს, ასევე წაღებულია რამდენიმე ათასი ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ აპარატს ვიდეო თვალით აკონტროლებენ, დამნაშავეების ვინაობის დადგენა ამ დრომდე ვერ ხერხდება.

შსს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

## პროკურატურის „ოქროს მოწმემ" ჩვენება ისევ შეცვალა



მოწმემ, რომლის დაკითხვაც ხორავას ქუჩის საქმეზე ამ წუთებში გრძელდება, ჩვენება ისევ შეცვალა. ინფორმაციას ,,პირველი რადიო" ავრცელებს. ამ დროისთვის მიხეილ კალანდია ჩვენებას სასამართლოს აძლევს. შეშფოთება იმის შესახებ, რომ კალანდიაზე შესაძლოა ზეწოლა მომხდარიყო და მას ჩვენება შეეცვალა, ბრალდებულთა დაცვის მხარემ კალანდიას დაკითხვის პირველი დღის ბოლოს გამოთქვა. ამის მიზეზი თავად კალანდიას მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებების უარყოფა გახდა. მიხეილ კალანდიამ, რომელიც მომხდარის უშუალო მონაწილეა, განაცხადა, რომ წინასწარ გამოძიებაში ჩვენებები პროკურატურაში ზეწოლის შედეგად მიაცემინეს.

„პირველ რადიოს" კონფიდენციალურმა წყარომ მიაწოდა ინფორმაცია, რომ ყოფილი პროკურორი მირზა სუბელიანი მისივე ნათესავ მიხეილ კალანდიაზე ამ განცხადების გამო ზეწოლას ახორციელებდა. „პირველი რადიოს" ინფორმაციით, მირზა სუბელიანმა მიხეილ კალანდია მშობლების სახლიდან თავისთან წაიყვანა და მას მუქარით ჩვენების შეცვლა მოსთხოვა.

# „მთავრობის მიერ შემოთავაზებული საპენსიო რეფორმა მოქალაქეებისათვის ხანშიშესულ ასაკში მასობრივ სიღარიბეს ნიშნავს“

– მთავრობის მიერ შემოთავაზებული საპენსიო რეფორმა გულისხმობს იმას, რომ წავიდეთ ბანკში და გავხსნათ პირადი კერძო ანგარიში. თუ მთავრობის წინადადება კანონად გადაიქცევა, ეს საქართველოს მოქალაქეებისათვის ხანშიშესულ ასაკში მასობრივ სიღარიბეს ნიშნავს.

მარტინ ჰუთსებაუთი არის საპენსიო რეფორმის დამოუკიდებელი ექსპერტი ბელგიიდან. იგი 1978-2008 წლებში მუშაობდა ევროპის პროფესიული კავშირების ინსტიტუტში. ბოლო პერიოდში იგი მუშაობდა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების, მოლდოვისა და საქართველოს საპენსიო სისტემების რეფორმაზე. „ბანკები და ფინანსები“ გთავაზობთ ინტერვიუს ჰუთსებაუთთან, სადაც ის მოსალოდნელი საპენსიო რეფორმის ნაკლოვანებებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე ამ პროცესებში, საგადასახადო პოლიტიკასა და ზოგადად საპენსიო რეფორმის მნიშვნელობაზე საუბრობს.

***– რა მნიშვნელობის მატარებელია საპენსიო რეფორმა საქართველოს მსგავსი ტრანზიციის მყოფი ქვეყნისათვის, რომელსაც ნაკლებად აქვს სოციალური დაცვის პოლიტიკების შემუშავების გამოცდილება და ტრადიცია, რა უნდა იყოს ამ რეფორმის მთავარი მიზანი?***

– ვფიქრობ, რომ საქართველოში პენსიის რეფორმის აუცილებლობა აშკარაა, ვინაიდან ამჟამინდელი სისტემა ძალიან საბაზისოა და ცხადია, არ არის ადეკვატური იმისთვის, რომ მომავლის გამოწვევებს უპასუხოს. კერძოდ კი იმ გამოწვევას, რომ ქვეყნის ყველა ხანშიშესული მოქალაქე უზრუნველყოფილ იქნას ცხოვრების ღირსეული სტანდარტით და ღირსეული შემოსავლით. ამას სჭირდება ამჟამინდელი სისტემის ფუნდამენტური რეფორმა. საქართველოს მდგომარეობა დაახლოებით მსგავსია იმისა, რაც მედასავლეთ ბალკანეთში, ალბანეთში, მოლოდოვასა თუ სხვა ქვეყნებში მინახავს, სადაც ასევე საპენსიო რეფორმაზე ვმუშაობდით. საბაზისო პენსია შესაძლებლობების მიხედვით არ არის დიფერენცირებული, ასევე მოქალაქე მას იღებს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ხანს ცხოვრობდა ის საქართველოში და დღევანდელი სისტემით პირი შესაძლოა 20 წელი ცხოვრობდეს საზღვარგარეთ, მაგრამ ის როდესაც უკან, საქართველოში ბრუნდება, ჩვეულებრივად იღებს საბაზისო პენსიას. საბაზისო პენსია ყოველთვის ერთია ასევე მიუხედავად პროფესიული კარიერისა, სწორედ ეს არის საბაზისო, უნივერსალური პენსია და მე ვფიქრობ, რომ სამომავლოდ ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია როგორც ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი ანუ პენსიის ე.წ. პირველი სვეტი. თუმცა საბაზისო პენსიაზე საჭიროა დამატებითი სისტემების ანუ სვეტების დაშენება.

ევროპის ყველა ქვეყანაში არსებობს მეორე სვეტიც, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ე.წ. Pay as you go სისტემაზე. ეს არის პრინციპი – გადაიხადე გზადაგზა, რომელიც ნიშნავს თაობათა შორის და თაობათა შიგნით არსებულ სოლიდარობას. ის თავის თავში ასევე მოიაზრებს დაზღვევის ელემენტსაც, ამ სვეტის შემდეგ როგორც მესამე დამატებით და არა როგორც შემცვლელ ელემენტზე, ასევე უნდა ვიფიქროთ დაფინანსებულ კერძო დაგროვებით სისტემაზეც. საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული რეფორმა კი ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ დამატებით დაფინანსებულ სისტემას. ფაქტიურად საჭიროა პენსიის სამი კომპონენტი ანუ სამი სვეტი.

პირველი არის საბაზისო პენსია, მეორე Pay as you go ელემენტი და ამ ყველაფერზე ზემოდან უკვე შეგვიძლია მესამე კომპონენტი, დაფინანსებული სისტემა დავაშენოთ, მაგრამ დაფინანსებული სქემა ვერასოდეს ჩაანაცვლებს მეორე Pay as you go სვეტს, ვინაიდან დაფინანსებული სისტემები დაფუძნებულია ინდივიდუალურ ანგარიშებზე, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველა აგროვებს თავისთვის, მაგრამ აქ სოლიდარობის არანაირი ინსტრუმენტი არ არის წარმოდგენილი. იგულისხმება სოლიდარობა იმ ხალხის მიმართ, ვინც ავად არის, ვინც უმუშევარია, ვინც დეკრეტშია, ვინც ოჯახის წევრის მზრუნველობის საჭიროების გამო ვერ მუშაობს. ყველა ასეთი ნიუანსი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

***– თქვენ მიერ დაწერილი ალტერნატიული რეფორმის ვერსია საკმაოდ კრიტიკულია მთავრობის მიერ შემოთავაზებული რეფორმის ვარიანტის მიმართ. ვიდრე კონკრეტულ ასპექტებს განვიხილავდეთ, იქნებ შევაჯამოთ რეფორმის შემოთავაზებული ვარიანტის ზოგადი პრობლემები.***

– მთავრობის მიერ შემოთავაზებული რეფორმა დაახლოებით გულისხმობს იმას, რომ წავიდეთ ბანკში და გავხსნათ პირადი კერძო ანგარიში, რომელშიც თანხას შევიტანთ როგორც ჩვენ, ისე მთავრობა და ისე დამსაქმებელი, მაგრამ საბოლოოდ ეს მხოლოდ პირადი ფული ხდება, მას საზოგადოებასთან კავშირი არ აქვს, იმიტომ რომ პირადი ფულია, შენ შეიძლება გახდე ავად და ვეღარ დააგროვო პირად ანგარიშზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თანხას ვეღარ მიიღებ.

მთავრობის მიერ შემოთავაზებული რეფორმა საბოლოო ჯამში შეეხება 18-დან 65 წლამდე მოსახლეობის მხოლოდ 10-15%, რატომ? იმიტომ, რომ ასეთი რეფორმის შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ შრომის ბაზრის სტრუქტურა, გავიგოთ, რამდენია თვითდასაქმებული, რამდენი მუშაობს არაფორმალურ სექტორში და გავიგოთ ისიც, თუ რამდენი ადამიანია ფორმალურ სამსახურში დასაქმებული. მთავრობის მეირ წარდგენილი რეფორმა ამბობს რომ რეფორმა სავალდებულო იქნება 40 წლამდე პირებისათვის და აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება 40 წლამდე ფორმალურად დასაქმებული ადამიანები, დანარჩენებისათვის ეს იქნება ნებაყოფლობითი.

ნებაყოფლობითობის დაშვება ნიშნავს, რომ ადამიანები არ მიიღებენ მასში მონაწილეობას. თავიდანვე ვამბობდი, რომ ადამიანთა უმრავლესობას ეს საპენსიო სისტემა არ დაფარავს. თუ მთავრობის წინადადება კანონად გადაიქცევა, ეს საქართველოს მოქალაქეებისათვის ხანშიშესულ ასაკში მასობრივ სიღარიბეს ნიშნავს, ვინაიდან ეს რეფორმა არ არის პასუხი მოსახლეობის საჭიროებებზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

***– თქვენ მიერ შემოთავაზებული რეფორმის წინადადებაში ასევე წერთ, რომ საბაზისო პენსიის გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია. იქნებ ახსნათ, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?***

– შენობას როცა ვაშენებთ, გვჭირდება ფუნდამენტი, რაც იქნება მყარი სტრუქტურა, რომელიც დაიცავს ყველაფერს, რაც მის ზემოთ დაშენდება. თუ საბაზისო პენსიის ღირებულებას შევამცირებთ, ეს ძალიან ცუდია. საბაზისო პენსია დღეს ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის დაახლოებით 16,8%-ია.

საბაზისო პენსია უაღრესად მნიშვნელოვანია იმ ათასობით ადამიანისთვის, რომელთაც ხანდაზმულ ასაკში პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არ აქვთ, ან ვინც ავად ხდება და ვისაც ბანკში არანაირი დანაზოგი არ გააჩნია. დღევანდელი პენსიის ოდენობით შესაძლოა არ მოკვდე, მაგრამ ვერც იცხოვრებ, ამიტომ აუცილებელია გაძლიერდეს ეს საბაზისო პენსია და გაიზარდოს პროგრესულად ხელფასის 20-25%-მდე მაინც. ეს იქნებოდა მყარი საფუძველი მათთვის, ვისაც სხვა დამატებითი პენსია არ აქვს. ეს არის აბსოლუტურად საბაზისო რამ.

***– მთავრობის მიერ ამჟამად შემოთავაზებული რეფორმა გულისხმობს პენსიის პრივატიზებას. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს და რა რისკები შეიძლება ახლავდეს მას?***

– თუ საპენსიო სისტემის 100%-ის პრივატიზაციას განახორციელებ, როგორც ამას მთავრობა გვთავაზობს, გარდა იმ საბაზისო პენსიისა, მაშინ უნდა იცოდე, რომ ძალიან სარისკო საქმეს აკეთებ და მე ამის შესახებ პარლამენტში წარვადგინე კონკრეტული ციფრები. ალბათ, იცით, რომ ირლანდიამ, ქვეყანამ რომელმაც ყველაზე დიდი ინვესტიცია განახორციელე კერძო საპენსიო ფონდებში, 2008 წელს დაკარგა საპენსიო ფონდის



ღირებულების 40%, ახლა წარმოიდგინეთ, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში აგროვებთ და იმედს ამყარებთ პენსიაზე და იმ მომენტისთვის, როდესაც პენსიაზე გასვლა გიწევთ, ერთი თვით ადრე საფონდო ბირჟის ახალი ეკონომიკური კრიზისი იწყება და თქვენ ყველაფერს კარგავთ.

როგორც ხედავთ, ყველა 8-9 წელიწადში ახალი ეკონომიკური კრიზისის მომსწრენი ვართ, თუ ბოლო ორ ფინანსურ კრიზისს დავაკვირდებით, კრიზისული ვარდნები სულ უფრო და უფრო რადიკალურია. იმის თქმა მინდა, რომ მხოლოდ კერძო საპენსიო ფონდებზე მინდობა ეკონომიკურად ძალიან რისკიანია. ეს არც საზოგადოებრივი მიდგომაა.

თუ ყველა საკუთარი თავისთვის აგროვებს, მაშინ საერთოდ რად გვინდა საზოგადოებრივი მიდგომა, მაშინ საერთოდ შეგვიძლია, წავიდეთ სადმე კუნძულზე, დავსახლდეთ, დავაგროვოთ საკუთარი თავებისთვის და ვთქვათ საზოგადოების სხვა წევრებთან არც არაფერი გვესაქმება და არც არაფერი გვაკავშირებს.

***– თქვენ მიერ შემოთავაზებულ საპენსიო რეფორმის სქემაში ასევე ნახსენებია, რომ დამსაქმებლის კონტრიბუცია ნელ-ნელა 0,5%-ით უნდა გაიზარდოს და 2023 წლისთვის უნდა მიაღწიოს 4%-ს. რა ლოგიკა დგას ამის უკან?***

– თუ შევხედავთ, თუ რა ზოგადი სიტუაციაა ევროკავშირის ქვეყნებში, დავინახავთ, რომ მთავრობას აღებული აქვს პასუხისმგებლობა სოციალურ დაცვაზე და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს ჯანდაცვისა და საპენსიო სფეროებზე. ევროსტატის სტატისტიკაშიც ჩანს, რომ მთავრობის კონტრიბუციის წვლილი სოციალური დაცვის სფეროში იზრდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, დამსაქმებელსაც, ცხადია, ასევე აქვს პასუხისმგებლობა, ვინაიდან, მე ვიტყოდი, რომ პენსია წარმოადგენს დროში გადავადებულ ხელფასს. ევროპაში დამსაქმებლები იხდიან ხარჯის დაახლოებით ორ მესამედს, დასაქმებულებსაც ასევე აქვთ პასუხისმგებლობა, თუ გადავწყვეტთ, რომ 2% მთავრობამ უნდა გადაიხადოს, 4% დამსაქმებელმა და 2% დასაქმებულმა, ეს იქნება პროცესი, რომელიც პროგრესულად უნდა განვავითაროთ. როდესაც დასაქმებულები მოლაპარაკებებს, აწარმოებენ ხელფასების გაზრდისთვის, ყოველ წელს ან ყოველ მეორე წელს, როგორც ეს ბელგიაშია, უფრო და უფრო კარგად ჩანს, რომ სოციალური პარტნიორები ანუ დამსაქმებლები და პროფკავშირები იტოვებენ თანხის რაღაც ნაწილს პენსიების დაფინანსებისთვის, მაგალითად, ხელფასის 4%-იანი გაზრდის ნაცვლად პროფკავშირები დამსაქმებლებს ეუბნებიან, მოგვიმატე 3% და ის დანარჩენი 1 მომავალი პენსიისთვის გადაგვინახე ჩვენს საპენსიო ანგარიშზე. სწორედ ეს არის დამსაქმებლის მიერ საპენსიო კონტრიბუციის თანდათანობით ზრდის ფილოსოფია, სწორედ ამიტომ ვამბობ მოდით თავიდანვე დამსაქმებლებმა გადაიხადონ 2% და როცა პროფკავშირები მოილაპარაკებენ ხელფასების გაზრდაზე, მათ ასევე უნდა მოილაპარაკონ საპენსიო შენატანების გონივრული განაკვეთით გაზრდაზე.

***– რა როლი შეიძლება შეასრულოს სოციალურმა დიალოგმა და პროფკავშირებმა, საპენსიო რეფორმის შემუშავების პროცესში და საერთოდ სხვა რა რეკვიზიტებია საჭირო რეფორმის დემოკრატიული ლეგიტიმაციისთვის?***

– პენსიები, ცხადია, წარმოადგენს ეკონომიკურ საკითხს. ეს მართლაც ასეა, მაგრამ პირველ რიგში ეს სოციალური საკითხია. საქართველოში როდესაც დისკუსიები მიმდინარეობს, ყოველთვის ახსენებენ ხოლმე მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს ან ევროპის განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციას. ეს კარგია, მაგრამ მე არასდროს მომისმენია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ, ამ დროს კი პენსიების საკითხში წამყვანი ორგანიზაცია არის სწორედ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და არა სსფ.

სსფ ყოველთვის ფინანსური ასპექტიდან უყურებს ამ საკითხს, პენსიები კი მხოლოდ ფინანსები არ არის. პენსია არის ხელისუფლების პასუხი საზოგადოების საჭიროებებზე.

პარლამენტის ეკონომიკური კომიტეტის გარდა, სოციალურ საკითხთა კომიტეტსაც უნდა ჰქონდეს ამ პროცესში მნიშვნელოვანი სიტყვის თქმის უფლება. ევროპის უმრავლეს ქვეყნებში სოციალურ დაცვას ცალკე სამინისტრო ჰყავს და ის არ ექვემდებარება ეკონომიკის ან ფინანსთა სამინისტროს, ხოლო, როგორც წესი, წამყვანი სამინისტრო არის სოციალურ საკითხთა სამინისტრო ან პენსიათა სამინისტრო, როგორც ეს, მაგალითად, ბელგიაშია. პენსიების მინისტრი კონსულტაციებს იღებს სხვა სამინისტროებისაგან, მაგრამ, საბოლოო ჯამში, პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი ის არის.

***– საქართველოში არსებული კანონმდებლობა არ იძლევა პროგრესული გადასახადების დაწესების შესაძლებლობას. ახალი გადასახადის დაწესება კონსტიტუციურად შეზღუდულია. რამდენად ხელსაყრელი პირობაა ეს კონტექსტი საპენსიო რეფორმისთვის?***

– მთავრობას ძალიან რთულ სიტუაციაში უწევს მუშაობა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოში, ისევე, როგორც, მაგალითად, მოლდოვაში და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში, არაფორმალური ეკონომიკის დიდი წილია. დარწმუნებული ვარ, საგადასახადო სისტემა უფრო სამართლიანი რომ ყოფილიყო, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. ახლა საშემოსავლო გადასახადი 20%-ია ყველასათვის, რაც ძალიან მაღალია დაბალშემოსავლიანი პირებისათვის. აუცილებელია, რომ გარკვეული პროგრესი იყოს საგადასახადო სისტემაში.

აქ კაპიტალის გადასახადებიც უკიდურესად დაბალია, პროცენტებზე და დივიდენდებზე, ჩემს ქვეყანაში გადასახადი 30%-ია, აქ კი მხოლოდ 5%, სამომავლოდ თითქოს არის რაღაც პერსპექტივა, რომ გადასახადების საკითხი მოგვარდეს. გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად უნდა დადგეს საგადასახადო სისტემის გადახედვის აუცილებლობა. რაც შეეხება არაფორმალურ ეკონომიკას, რატომ არის ის აქ დღეს, იმიტომ, რომ ადამიანებს არ აქვთ ნდობა ინსტიტუტებისადმი. ეს ნდობის საკითხია. როდესაც მე გადასახადებს ვიხდი, მინდა ვნახო, რომ შენდება კარგი გზები, კარგი საავადმყოფოები, განათლება არის უფასო, თუ ყველაფრისთვის ცალკ-ცალკე უნდა გადავიხადო, ექიმის, სკოლის, მაშინ გადასახადს მეორედ რატომ უნდა ვიხდიდე, გადასახადები იმისთვის არის, რომ ეს სერვისები დაფაროს. შვედეთში ძალიან უხარიათ, რომ მაღალ გადასახადებს იხდიან, იმიტომ, რომ მათ ისეთი კეთილდღეობის სისტემა აქვთ შექმნილი, რომელიც ხალხზე ზრუნავს და არავინ არ რჩება ზრუნვის გარეშე. თუ Pay as you go სისტემა იქნება განვითარებული, სახეზე გვექნება თაობათაშორისი სოლიდარობა, რომელიც უმუშევრობის დროს შემწეობას აღმოუჩენს უმუშევარს, ანუ თუ მე 6 თვე უმუშევარი დავრჩი ან ავად გავხდი, ამ დროის განმავლობაში არ ვკარგავ ჩემთვის განკუთვნილ საპენსიო კონტრიბუციებს.

თუ ჩემი პენსია დაკავშირებული იქნება ჩემს დეკლარირებულ შემოსავალთან და ხალხი დაინახავს, რომ გარკვეული ბმა არსებობს კონტრიბიუციასა და სარგებელს შორის, ეს საკმაოდ დამჯერებელი არგუმენტია იმისთვის, რომ უფრო მეტმა ხალხმა იმუშაოს ფორმალურად, რათა მათ დეკლარაციაში ასახონ მთლიანი ხელფასი და არა მხოლოდ მისი ნაწილი.

***– სოციალური დაცვის სისტემის სხვა რა კომპონენტებზე შეგიძლიათ ისაუბროთ, რომელიც ქართულ რეალობაში საპენსიო სქემასთან კომბინაციაში იქნებოდა?***

– სოციალური დაცვის სისტემა ყველა ევროპულ სისტემაში მზარდია და მუდმივი რეფორმების პროცესშია, იმიტომ რომ თავად საზოგადოება იცვლება და ვითარდება. დღეს ძალიან ბევრი პროფესიული და გეოგრაფიული მობილობა ხდება, Pay as you go სისტემისათვის, რომელიც ცენტრალურ დონეზე იმართება, ეს პრობლემას არ წარმოადგენს, იმიტომ რომ შენი უფლებები რომელიც ცენტრალური სისტემიდან იმართება, შენ მოგყვება, ამას უფლებების პორტაბილურობას უწოდებენ, ეს ნიშნავს, რომ მშრომელთა გაზრდილი მობილობის გამო არსებობს უფლებების ტრანსფერის შესაძლებლობა, ავიღოთ თუნდაც ის ხალხი, რომელიც უცხოეთში მიდის, საქართველოს უამრავი მოქალაქე, რომლებიც წლობით მუშაობენ თურქეთში, თუ რუსეთში და ა.შ.

ისინი აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში, გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ არასტანდარტულად დასაქმებულებიც. ესენია არასრული განაკვეთით დასაქმებულები, სეზონური მშრომელები, ერთდღიანი კონტრაქტის მქონე და დროებით დასაქმებულები. ამ ტიპის მშრომელები გაურკვეველი მომავლის მქონე დასაქმებულები არიან და ისინიც აუცილებლად უნდა იქნენ გათვალისწინებულნი სისტემაში. ამას კი კერძო ფონდები ვერ გააკეთებენ.

ეს უნდა გაკეთდეს ე.წ Pay as you go სისტემის საშუალებით. იმის თქმა მინდოდა, რომ ამ სვეტით უნდა შეიქმნას მინიმალური საბაზისო სისტემა მინიმალური უფლებებით მათთვის, ვისაც გაურკვეველი ან დაბალი შემოსავალი აქვთ, მათ უნდა მისცე მინიმალური გარანტია, რომ საპენსიო უფლებების განხორციელება შეძლონ. ამას მივყავართ კიდევ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტთან, აქ უნდა შეიქმნას მინიმალური ხელფასი თითოეული დარგისთვის, იმიტომ რომ თუ თითოეულ დარგს ექნება მინიმალური ხელფასი, მაშინ დასაქმებულებს ექნებათ გარანტია რომ როგორც მინიმუმ ეს იქნება მათი მინიმარური შემოსავალი, მთავრობას კი ექნება გარანტია, რომ მინიმალური ხელფასით ამ ბაზისზე გადახდილი სოციალური კონტრიბუციები შემოვა. მინიმალური ხელფასის განსაზღვრა დაეხმარება მთავრობასაც და დასაქმებულებსაც სოციალური კონტრიბუციების რაოდენობის განსაზღვრაში. ამით უფრო ცხადი გახდება მოსალოდნელი ყოველწლიური საბიუჯეტო შემოსავლები და დანახარჯები, ამიტომაც, ვფიქრობ, მინიმალური ხელფასი მნიშვნელოვანი ელემენტია საქართველოსთვის და მთავრობამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ მინიმალური სტანდარტების შემუშავებაში.

***– თქვენ წლებია იკვლევთ სოციალური დაცვის პოლიტიკას ევროპაში. გვითხარით, ამჟამად რა დებატები მიმდინარეობს სოციალური დაცვის პოლიტიკის პრინციპების შესახებ იქ?***

– ევროპული დებატები, ბოლო ორი წელია, სამი მთავარი საკითხის ირგვლივ მიმდინარეობს. ტრადიციულად, ევროპა არ იყო კომპეტენტური ყველა ამ საკითხთან მიმართებაში, რასაც სოციალური პოლიტიკა მოიცავს, მხოლოდ 1991 წლიდან არის შესაძლებელი, როდესაც დამსაქმებლებთან შეთანხმება დაიდო, რომ კოლექტიური ხელშეკრულებებიც გაკეთდეს ევროპულ დონეზე.

სამ ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს შემდეგი კომპონენტები: პირველი, საპენსიო სისტემების მდგრადობა, მეორე – ადეკვატურობა, ანუ არის თუ არა პენსიები ადეკვატურად მაღალი იმისთვის, რათა ხანდაზმულ ასაკში მოსახლეობის საჭიროებები დაფაროს და მესამე – მოდერნიზაცია, რაც გულისხმობს სისტემის ადაპტაციის უნარს, რომ მან ახალ საზოგადოებრივ გამოწვევებს უპასუხოს. ევროპულ დონეს არ შეუძლია საპენსიო სისტემის ორგანიზება ქვეყნის დონეზე, მაგრამ მათ განავითარეს კოორდინაციის მეთოდი, რაც ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ისინი აკვირდებიან განვითარებულ მოვლენებს და სისტემის კომენტირებას აკეთებენ. მთავრობების მუშაობაში მათ პირდაპირი ჩარევა არ შეუძლიათ, ეს კომისიის უფლებამოსილება არ არის.

სოციალური დაცვისა და გადასახადების პოლიტიკაში სახელმწიფოები წყვეტენ პოლიტიკას. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი დისკუსია არ მიმდინარეობს, და არც იმას ნიშნავს, რომ ბრიუსელიდან ან სხვა ორგანიზაციებიდან წნეხი არ ხორციელდება მთავრობებზე. ევროპული ქვეყნების კონტექსტში ჩვენ არ ვსაუბრობთ მსოფლიო ბანკზე ან საერთაშორისო სავალუტო ფონდზე, იმიტომ რომ ჩვენ არ ვართ დამოკიდებული მათ თანხებზე, ევროპას საქმე აქვს OECD-სთან, იმიტომ რომ ეს ორგანიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია გადასახადების საკითხებში. ის ასევე აქტიურია სოციალური დაცვისა და პენსიების საკითხში. ამ საკითხზე ისინი ძალიან ბევრის მუშაობენ ევროკავშირთან ერთად. ევროპაში ჩვენ უფრო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისაკენ ვიყურებით, ასევე მნიშვნელოვანია OECD და ევროკომისია, ესენი არიან მთავარი მცოდნე პარტნიორები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოდელი კი განსხვავებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოდელისაგან.

## პეტრო პოროშენკო: „უკრაინა დსთ-დან უნდა გავიდეს!“



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა დსთ-დან გადის.

— მე მივეცი დავალება მინისტრთა კაბინეტს, რომ დსთ-დან გასვლის პროცედურა ოფიციალურად დაიწყოს, — თქვა პოროშენკომ.

ამავე დროს უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთ-უკრაინის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რიგი მუხლი გაუქმდება. ამ განცხადებამ უკრაინელი პატრიოტების აღშფოთება განაპირობა.

— მიმდინარეობს რუსეთ-უკრაინის ომი! ანექსირებულია ყირიმი. ჯერჯერობით კვლავაც ოკუპირებული რჩება დონბასის 10%. დონბასის ფრონტზე უკრაინელი ჯარისკაცები ყოველდღე იღუპებიან! რომელ მეგობრობაზეა ლაპარაკი?! ხელშეკრულება ე.წ. მეგობრობის შესახებ საერთოდ უნდა გაუქმდეს! — აცხადებს პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერი ოლეგ ტიაგნიბოკი.

## ტერეზა მეი: „ბრიტანეთი აშშ-ის გვერდითაა!“



ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა სირიის წინააღმდეგ დაგეგმილ ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებს.

— ჩვენ აშშ-ის გვერდით ვდგავართ, — განაცხადა პრემიერმა.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მეის მხარი დაუჭირა. პრემიერის ბრძანებით, ბრიტანეთის წყალქვეშა ფლოტი სირიის ნაპირებისაკენ გაემართა.

## მერკელი: „გერმანია სირიაზე დარტყმაში მონაწილეობას არ მიიღებს!“



გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა სირიაზე დარტყმაში მონაწილეობას არ მიიღებს. ამავე დროს მან ხაზი გაუსვა, რომ გერმანია ასადის საქციელს გმობს.

ასადის ხელისუფლებაში დარჩენა დანაშაულია, — თქვა მერკელმა.

## იტალია სირიის წინააღმდეგ დაგეგმილ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებს



იტალიის პრემიერი ჯანტილიონი აცხადებს, რომ მისი ქვეყანა სირიის წინააღმდეგ ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებს. ამავე დროს იტალია მხარს უჭერს იმას, რომ ასადი უნდა წავიდეს.

— ჩვენ საშუალებას მივცემთ ამერიკელებს, რომ სირიაზე დარტყმისათვის ჩვენი ბაზები გამოიყენონ. ამას გარდა, აშშ-ის სრულ პოლიტიკურ მხარდაჭერას ვუცხადებთ, — ამბობს პრემიერი.

# რა პირობებზე შედგება რუსეთ-აშშ-ის შეთანხმება?



სირიაში სიტუაცია უკიდურესობამდეა დაძაბული. მოსკოვი და ვაშინგტონი ერთმანეთს უკვე რაკეტებით ემუქრებიან. ამავე დროს არც რუსეთს, არც აშშ-ს შეიარაღებული დაპირისპირება არ სურთ, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტს საკუთარი ხედვა გააჩნია და არ აპირებს მას გადაუხვიოს.

— ტრამპმა განაცხადა, რომ ბაშარ ასადის ხელისუფლებაში დარჩენა გამორიცხულია! ამას გარდა რუსეთმა უნდა დატოვოს დონბასი და მინსკის ხელშეკრულებები ბოლომდე შეასრულოს, — ამბობს ექსპერტი პავლე ფოლკენგაუერი.

ტრამპი არ არის მაქსიმალისტი. ის არ მოითხოვს სირიიდან რუსული ბაზების გაყვანას ან ყირიმის უკრაინისათვის დაუყოვნებლივ გადაცემას.

ფოლკენგაუერი მიიჩნევს, რომ უახლოეს პერიოდში სირიაში ხუთი მოსალოდნელი სცენარია:

1. დარტყმა იმ ობიექტებზე, საიდანაც ქიმიური შეტევა განხორციელდა;
2. სირიის წინააღმდეგ შეზღუდული სამხედრო ოპერაციის განხორციელება, სირიის სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურება;
3. რუსები აგდებენ ამერიკულ რაკეტებს, დაძაბულობა პიკს აღწევს, შეშინებული პოლიტიკოსები სასწრაფოდ მოლაპარაკების მაგიდასთან სხდებიან, დაძაბულობაც, თუნდაც დროებით, განიმუხტება;
4. რეგიონალური კონფლიქტი; სამხედრო მოქმედებებში ერთვებიან ისრაელი, თურქეთი, საუდის არაბეთი, ირანი და ა.შ.;
5. კონფლიქტის ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში გადაზრდა, საბრძოლო მოქმედებების გაჩაღება რუსეთ-უკრაინის, აგრეთვე რუსეთ-ბალტიისპირეთის საზღვარზე.

პოლიტოლოგი თვლის, რომ ყველაზე რეალური მეორე სცენარია. ამას მეორე სპეციალისტი დიმიტრი გორდონიც ეთანხმება და აცხადებს, რომ მოსკოვის მხრივ ძალის გამოყენება საეჭვოა.

— რუსეთს უბრალოდ არ გააჩნია საშუალებები, რათა აშშ-ს ძალით დაუპირისპირდეს, — ამბობს გორდონი.

ექსპერტის აზრით, სირიას რამდენიმე დღეში დაარტყამენ. ბაშარ ასადიც საბოლოოდ ირანში ან რუსეთში გადაიხვეწება. ამით რუსეთ-დასავლეთს შორის ცივი ომი გამწვავდება. უდავოა, რომ რუსეთი ამ დაპირისპირებაში მარცხისთვისაა განწირული. ყოველივე რუსეთ-აშშ-ს შორის შეთანხმებით დასრულდება, რაც აუცილებლად ამერიკელების მოთხოვნების საფუძველზე მოხდება. ფაქტიურად ესაა კაპიტულაცია და რაც უფრო გვიან დაყაბულდება ამას პუტინი, პირობებიც მით უფრო მკაცრი იქნება. დღეს ვაშინგტონი მზადაა, მხოლოდ ასადის გაწირვით და მინსკის შეთანხმებების შესრულებით დაკმაყოფილდეს. ხვალ დღის წესრიგში როგორც ყირიმის, ასევე აფხაზეთის და სამაჩაბლოს დეოკუპაციის საკითხიც დადგება. გამწვავებული

საერთაშორისო ვითარება საქართველოს საფრთხესაც უქმნის. რუსეთს არ შეუძლია საქართველოში ფართომასშტაბიანი ინტერვენცია განახორციელოს, მაგრამ ის გაააქტიურებს აქ მყოფ აგენტურას, გააძლიერებს ეკონომიკურ ზეწოლას. არც სამხედრო ავანტიურები, დივერსიები და ტერორია გამორიცხული. ჩვენი ქვეყანაც მზად უნდა იყოს საიმისოდ, რომ ამ გამოწვევებს ღირსეული პასუხი გასცეს.

# ბრძოლები დონბასში



სირიის კრიზისის გამძაფრებასთან ერთად დონბასში მდგომარეობა სულ უფრო რთულდება. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა უკრაინელებს ცეცხლი 66-ჯერ გაუხსნეს. არტილერიით დაიბომბა დაბა პესკი (დონეცკის მახლობლად). დაიღუპა 1 უკრაინელი ჯარისკაცი, ერთიც დაიჭრა.

— მტერმა ავდეევკის საცხოვრებელი კვარტალები დაბომბა. საბედნიეროდ მშვიდობიანი მოსახლეობიდან არავინ დაზარალებულა, — წერს „კორესპონდენტ ნეტი“.

უკრაინელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. მტერმაც უკან დაიხია. თანახმად სეპარატისტული საიტის „რუსკაია ვესნას“ ინფორმაციისა, მოკლულია 2 სეპარატისტი ბოევიკი. თანახმად „კორესპონდენტ ნეტის“ ცნობისა, უკრაინელი მეომრებიდან არავინ არ დაზარალებულა. ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის მეთაური ზახარჩენკო თავის მხრივ აცხადებს, რომ სამშვიდობო შეთანხმებებს უკრაინა არღვევს.

— ყველა მონაცემი მიუთითეს იმაზე, რომ უკრაინა დონეცკისაკენ ნახტომისათვის ემზადება. ჩვენ უკრაინულ არმიას ვერ შევაკავებთ! მივმართავ მოძმე რუსეთს: გვიშველეთ! — გაჰკივის ზახარჩენკო.

თანახმად უკრაინის დაზვერვის ცნობისა, უახლოეს დღეებში დონბასში პროვოკაციები გაიზრდება. მოსალოდნელია, რომ სეპარატისტებმა დონეცკი თავად დაბომბონ და ამის შემდეგ რუსეთს დახმარებისათვის კვლავ მიმართონ.

— ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დონბასში რუსეთის არმიის დამატებითი ნაწილები შეიყვანონ, — იტყობინება 112 არხი.

## მაიკ პომპეო: „უკრაინისადმი დახმარება უნდა გაიზარდოს!“



აშშ-ის სენატის წინაშე სახელმწიფო მდივნობის ახალი კანდიდატი მაიკ პომპეო წარდგა. მანამდე ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორი გახლდათ.

პომპეომ დღეს შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობაზე დაწვრილებით ისაუბრა. შეკითხვაზე, აშშ-უკრაინის ურთიერთობას როგორ უყურებთო, პომპეომ მიუგო:

— უკრაინა აშშ-ის უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მოკავშირეა. უკრაინისადმი დახმარება უნდა გაიზარდოს, — თქვა პომპეომ.

სახელმწიფო მდივნობის კანდიდატმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-უკრაინის ურთიერთობაში პრიორიტეტად თავდაცვისა და უშიშროების სფერო მიაჩნია. მან აღნიშნა, რომ უკრაინამ უკვე შექმნა ძლიერი არმია და მეტ-ნაკლებად ეფექტური უშიშროება, თუმცა ეს საკმარისი არაა. უკრაინის შეიარაღებული ძალები კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, უშიშროების სისტემა კი სრულყოფას საჭიროებს.

— უკრაინას ლეტალური იარაღი დიდი ოდენობით უნდა მივაწოდოთ! მეტიც, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი სრული დატვირთვით ამუშავდეს, — თქვა პომპეომ.

## შედგა პუტინისა და ერდოღანის სატელეფონო საუბარი



თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი აშშ-ის ლიდერს დონალდ ტრამპს დაუკავშირდა. ერდოღანმა ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება დაგმო. ამავე დროს მან ხაზი გაუსვა, რომ სირიაში ძალიან რთული ვითარება შეიქმნა და გადაწყვეტილებაც გულდასმითი ანალიზის შემდეგ უნდა იქნას მიღებული.

ამის შემდეგ ერდოღანი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს დაუკავშირდა. პუტინმა და ერდოღანმა აღნიშნეს, რომ ძალის გამოყენება ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს. რაც შეეხება პოლიტიკური დარეგულირების პროცესს, ის უნდა გააქტიურდეს.

## რუსეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოს სასწრაფოდ მოწვევას მოითხოვს



რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოს სასწრაფოდ მოწვევა მოითხოვა. მიზეზი სირიაში შექმნილი მდგომარეობაა.

— რუსეთი და აშშ ომის ზღვარზე იმყოფებიან. მეტიც, ომამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა, — აცხადებს რუსეთის წარმომადგენელი გაეროში ნებეზნია.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩავიდნენ სირიაში. მათ უნდა გაარკვიონ, ასადმა ქიმიური იარაღი მართლა გამოიყენა თუ არა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამისი გარკვევა ძალიან ძნელი იქნება.

— ქალაქ დუმაში რუსეთის სამხედრო პოლიცია შევიდა. ის ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ყველა კვალი წაიშალოს, — იტყობინება 112 არხი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# გოგა ბითაძე ნბა-ს დრაფტზე დადგა



საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და სერბული „მეგა ბიმაქსის“ ქართველი ცენტრი 18 წლისა და 211 სანტიმეტრი სიმაღლის გოგა ბითაძე ნბა-ს მომავალ დრაფტზე დადგა. ბითაძის განაცხადი დრაფტში მონაწილეობასთან დაკავშირებით ნბა-ს შესაბამის სტრუქტურაში მისმა მენეჯერმა და ცნობილმა სერბმა საკალათბურთო სპეციალისტმა მიშკო რაჟნატოვიჩმა შეიტანა. მანვე დაადასტურა ეს ინფორმაცია საკუთარი ტვიტერის გვერდზე.

ვლადიმერ სტეფანიას, ზაზა ფაჩულიას, ნიკოლოზ ცქიტიშვილის, ვიქტორ სანიკიძისა და თორნიკე შენგელიას შემდეგ ბითაძე მეექვსე ქართველი იქნება, რომელიც ყველაზე პრესტიჟულ საკალათბურთო ლიგაში დრაფტზე დადგება. ზემოთ ნახსენები ხუთეულიდან ნბა-ში მხოლოდ სანიკიძეს არ უთამაშია, არადა, მისი უფლებები სან ანტონიო სპურს ჰქონდა.

დავუბრუნდეთ ბითაძეს, რომელმაც გასული 2 სეზონი სერბეთში გაატარა და უდიდესი პროგრესი განიცადა. თუმცა, როგორც სერბული პრესა აცხადებს, მისი განვითარების პროცესი ჯერ კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება და მისგან უმაღლესი დონის მოთამაშის დადგომას ელიან. სწორედ ამის გამო მოსალოდნელია, რომ ქართველ ცენტრს დრაფტის პირველ წრეში აირჩევენ, რაც მისი ნბა-ში დარჩენის სოლიდური გარანტია იქნება.

ბითაძე გასულ სეზონში ადრიატიკის ლიგაში ასპარეზობდა და საშუალოდ 11.8 ქულას, 5 მოხსნას და 2.09 (მეორე შედეგი ლიგაში) დაფარებას აგროვებდა. მან მონაწილეობა მიიღო ადრიატიკის ლიგის 19-წლამდელთა ოთხთა ფინალში და საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო.

მიშკო რაჟნატოვიჩი გახლავთ გენიოსად წოდებული ცნობილი ბოსნიელი კალათბურთელის, ბითაძის კბილა ჯანან მუსას მენეჯერიც. წლევანდელ დრაფტზე მუსას მონაწილეობა რაჟნატოვიჩმა ამას წინათ ასევე დაადასტურა.

ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის დრაფტი 21 ივნისს ნიუ იორკის „ბარკლეი სენთერში“ გაიმართება. ბითაძე დრაფტის 48-ე ნომრად მოიაზრება, რომელიც ამ დროისთვის მინესოტა ტიმბერვულვზს ეკუთვნის.

დრაფტზე სულ 60 კალათბურთელი აირჩევა.

მიხეილ ქორქოლიანი

## ოთხმეტრიანი კაციჭამია ნიანგი მდინარეში გაუშვეს

ოთხმეტრიანი ჭაობის ნიანგი, რომელიც ინდოეთში ადამიანზე თავდასხმის შემდეგ დაიჭირეს, მდინარე განგში გაუშვეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მიმდინარე წლის მარტის ბოლოს მტაცებელმა რეპტილიამ ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში მდებარე სოფლის მცხოვრები მოკლა. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ის ბუნებრივ მოთხოვნილებას განგის მარცხენა შენაკადის, მდინარე რამგანგის ნაპირას იკმაყოფილებდა. მისი სანახევროდ შეჭმული ნარჩენები რამდენიმე დღის შემდეგ აღმოაჩინეს.



ადგილობრივებმა ხელისუფლებას მიმართეს მოთხოვნით, დაეჭირათ რეპტილია, რომელიც მათი თანასოფლელის მოკვლამდე არაერთხელ დაესხა თავს მათ საქონელს.

— ჩვენ ნიანგმა დაგვაშინა და მისი შიშით მდინარეს ახლოსაც ველარ ვეკარებით, — განაცხადა დალუპულის ერთ-ერთმა თანასოფლელმა.

ხელისუფლებამ მტაცებელზე ნადირობა გამოაცხადა, მაგრამ სპეციალისტების უკმარისობის გამო ის ჩაიშალა. როდესაც სოფლის მცხოვრებლები მნიშვნელოვანი გზატკეცილის გადაკეტვით დაიმუქრნენ, ხელისუფლებამ ახალი ოპერაცია დაიწყო. ამჯერად მასში ადგილობრივი მეთევზეები და ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია ჩართეს.

მეთევზეებმა ნიანგი ბადეში გააბეს, რის შემდეგაც მათ ექსპერტები დაეხმარნენ, რეპტილია მდინარე განგის ნაპირზე გადაიყვანეს და გაუშვეს.

## ჩინელი ბავშვი სარბენმა ბილიკმა ჩაითრია



ჩინეთის ერთ-ერთ სავარჯიშო დარბაზში პატარა ბიჭი, რომელიც დიდი ბურთით თამაშობდა, სარბენი ბილიკის ქვეშ აღმოჩნდა. ეს შემთხვევა ადგილზე დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ გადაიღო.

ბავშვი ფიტბოლზე იწვა და სავარჯიშო სარბენ ბილიკთან მისრიალდა. ტრენაჟორმა მისი შიგნით შეთრევა დაიწყო, ხოლო ქალს, რომელიც მასზე ვარჯიშობდა, ამაზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. როდესაც ბავშვის ხელები სარბენი ბილიკის ქვეშ გაუჩინარდა, მის გადასარჩენად სხვა ქალმა მიირბინა და მისი იქიდან გამოყვანა მოახერხა.

## ქალები გოგრამ გაამელოტა



ორი ფრანგი ქალი მას შემდეგ გამელოტდა, რაც ტოქსიკური გოგრისგან მომზადებული კერძი შეჭამეს.

ერთ-ერთმა ქალმა თავი ცუდად მას შემდეგ იგრძნო, რაც გოგრის წვნიანი მიირთვა და რომელიც მეტისმეტად მწარე აღმოჩნდა. საკვების მიღებისთანავე მას დაეწყო სულის ხუთვა, პირღებინება და კუჭის აშლილობა, ერთი კვირის შემდეგ კი შენიშნა, რომ თმის ცვენა დაეწყო როგორც თავზე, ისე მთელ სხეულზე.

მეორე ქალმაც გოგრა ოჯახურ გარემოში დააგემოვნა, თუმცა მისმა ნათესავებმა მეტისმეტად მწარე ბოსტნეულის მირთმევაზე უარი განაცხადეს, მაშინ როდესაც დაზარალებულმა მეტისმეტად დიდი რაოდენობით მიირთვა. მის შემთხვევაში თმის ცვენა სამ კვირაში დაიწყო.

მსგავს მოწამვლას გოგრის ტოქსიკურ სინდრომს უწოდებენ. სახიფათო ბოსტნეული უკიდურესად მწარე გემოთი გამოირჩევა. ფრანგი მკვლევრების მონაცემებით, 2012-დან 2016 წლის ჩათვლით ასეთი მოწამვლის 353 შემთხვევა იქნა დაფიქსირებული, რომელთა ნახევარი მაღაზიებში ნაყიდ გოგრაზე მოდიოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება — მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

### მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში. ☎ 599-73-48-21

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# იტალიაში რომაული დერბია



## სტატისტიკა, ფსონები

**მშვენიერი ტური ევროპაში, იმის გამო, რომ ყველაფერი ფინიშისკენ მიდის და გადამწყვეტი თამაშების რამდენიმე ძალიან საინტერესო შეხვედრაა. პირველ რიგში რომაული დერბი – ლაციო-რომა. ასევე საინტერესოა რურის დერბი გერმანიაში – შალკე-დორტმუნდი და პრემიერლიგაში ტოტენჰემი-სიტის დაპირისპირება.**

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.04 საუთჰემპტონი-ჩელსი | 4.33 | 3.5 | 1.83 |
| 14.04 სუონსი-ევერტონი | 2.5 | 3.1 | 3.0 |
| 14.04 ბარნლი-ლესტერი | 2.62 | 3.1 | 2.75 |
| 14.04 ჰადერსფილდი-უოტფორდი | 2.62 | 3.2 | 2.75 |
| 14.04 კრ.პალასი-ბრაიტონი | 1.91 | 3.3 | 4.33 |
| 14.04 ლივერპული-ბორნმუთი | 1.22 | 6.0 | 12.0 |
| 14.04 ტოტენჰემი-სიტი | 2.62 | 3.5 | 2.5 |
| 15.04 ნიუკასლი-არსენალი | 3.25 | 3.4 | 2.15 |
| 15.04 მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.18 | 6.5 | 17.0 |
| 16.04 ვესტ ჰემი-სტოკი | 2.0 | 3.3 | 3.75 |

**საუთჰემპტონი-ჩელსი**

საუთჰემპტონი: **ტრავმ-**

ჩელსი: **ტრავმ-**დავიდ ლუიზი

**სუონსი-ევერტონი**

სუონსი: **ტრავმ-**ლეროი ფერი, ვილფრედ ბონი

ევერტონი: **ტრავმ-**მეისონ ჰოლგეიტი, გილფი სიგურდსონი, ელაქუიმ მანგალა, ჯეიმს მაკკარტნი

**ბარნლი-ლესტერი**

ბარნლი: **ტრავმ-**სკოტ არფილდი, სტივენ დეფო, ჯონათან უოლტერსი, რობი ბრეიდი

ლესტერი: **ტრავმ-**მეტ ჯეიმსი, დანიელ ამარტეი

**ჰადერსფილდი-უოტფორდი**

ჰადერსფილდი: **ტრავმ-**ელიას კაჩუნგა, მაიკლ ჰეფელე

უოტფორდი: **ტრავმ-**ჟერარდ დეულოფე, ტომ კლევერლი, იუნის კაბული, ნათან ჩალობა

**კრ.პალასი-ბრაიტონი**

კრ.პალასი: **ტრავმ-**ალექსანდერ სორლოტი, ჯეფ შლუპი, ჯოელ ვარდი, ჯულიან სპერონი, ბაკარი საკო, სკოტ დანი, ჯეისონ პუნჩეონი

ბრაიტონი: **ტრავმ-**არავინ

**ლივერპული-ბორნმუთი**

ლივერპული: **ტრავმ-**ჯოელ მატიპი, ადამ ლალანა, ჯო გომესი

ბორნმუთი: **ტრავმ-**ჯუნიორ სტანისლასი, ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

**ტოტენჰემი-სიტი**

ტოტენჰემი: **ტრავმ-**ჰარი ვინკსი

სიტი: **ტრავმ-**ბენჯამინ მენდი

**ნიუკასლი-არსენალი**

ნიუკასლი: **ტრავმ-**ჟოსელუ, რობერტ ელიოტი, ხესუს გამესი

არსენალი: **ტრავმ-**დავიდ ოსპინა, ჰენრიკ მხითარიანი, სანტი კაზორლა

**მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი**

მანჩესტერი: **ტრავმ-**დელი ბლინდი

ვესტ ბრომვიჩი: **ტრავმ-**სემ ფილდი, გარეთ ბერი, ჯეიმს მორისონი, ნასერ ჩადლი

**ვესტ ჰემი-სტოკი**

ვესტ ჰემი: **ტრავმ-**მაიკლ ანტონიო, უინსტონ რიდი, სემ ბირანი, პედრო ობიანგი, ენდი კეროლი

სტოკი: **ტრავმ-**კონსტანტინოს სტაფილიდისი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი, ლი გრანტი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 32 | 27 | 3 | 2 | 90-24 | 84 |
| 2.მანჩესტერი | 32 | 22 | 5 | 5 | 63-25 | 71 |
| 3.ლივერპული | 33 | 19 | 10 | 4 | 75-35 | 67 |
| 4.ტოტენჰემი | 32 | 20 | 7 | 5 | 64-27 | 67 |
| 5.ჩელსი | 32 | 17 | 6 | 9 | 54-31 | 57 |
| 6.არსენალი | 32 | 16 | 6 | 10 | 61-43 | 54 |
| 7.ბარნლი | 32 | 13 | 10 | 9 | 31-28 | 49 |
| 8.ლესტერი | 32 | 11 | 10 | 11 | 48-45 | 43 |
| 9.ევერტონი | 33 | 11 | 8 | 14 | 38-53 | 41 |
| 10.ნიუკასლი | 32 | 10 | 8 | 14 | 33-41 | 38 |
| 11.ბორნმუთი | 33 | 9 | 11 | 13 | 41-53 | 38 |
| 12.უოტფორდი | 33 | 10 | 7 | 16 | 42-59 | 37 |
| 13.ბრაიტონი | 32 | 8 | 11 | 13 | 29-43 | 35 |
| 14.ვესტ ჰემი | 32 | 8 | 10 | 14 | 40-58 | 34 |
| 15.სუონსი | 32 | 8 | 8 | 16 | 26-45 | 32 |
| 16.ჰადერსფილდი | 33 | 8 | 8 | 17 | 26-54 | 32 |
| 17.კრ.პალასი | 33 | 7 | 10 | 16 | 33-52 | 31 |
| 18.საუთჰემპტონი | 32 | 5 | 13 | 14 | 31-50 | 28 |
| 19.სტოკი | 33 | 6 | 9 | 18 | 30-63 | 27 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 3 | 12 | 18 | 26-52 | 21 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.04 სევილია-ვილიარიალი | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 14.04 ბარსელონა-ვალენსია | 1.3 | 5.5 | 8.5 |
| 14.04 ლეგანესი-სელტა | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 14.04 ლას პალმასი-სოსიედადი | 3.6 | 3.75 | 1.95 |
| 15.04 ბილბაო-დეპორტივო | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 15.04 ეიბარი-ალავესი | 1.8 | 3.4 | 4.75 |
| 15.04 ატლეტიკო-ლევანტე | 1.22 | 6.0 | 13.00 |
| 15.04 ხეტაფე-ესპანიოლი | 2.15 | 3.0 | 3.8 |
| 15.04 მალაგა-რეალი | 10.0 | 5.5 | 1.28 |

**სევილია-ვილიარიალი**

სევილია: **ტრავმ-**არავინ

ვილიარიალი: **ტრავმ-**რამირო გუერა, ლეო სუარესი

**ბარსელონა-ვალენსია**

ბარსელონა: **ტრავმ-**ლუკას დინიე

ვალენსია: **ტრავმ-**ანტონიო ლატო

**ლეგანესი-სელტა**

ლეგანესი: **ტრავმ-**ალექსანდერ შიმანოვსკი, მარტინ მანტოვანი

სელტა: **ტრავმ-**არავინ

**ლას პალმასი-სოსიედადი**

ლას პალმასი: **ტრავმ-**პედრო ბიგასი, გაბრიელ პენალბა

სოსიედადი: **ტრავმ-**ჯერონიმო რული, ხაბი პრიეტო

**ბილბაო-დეპორტივო**

ბილბაო: **ტრავმ-**იერაი ალვარესი

დეპორტივო: **ტრავმ-**ენეკო ბოვედა, ფედე კარტაბია

**ეიბარი-ალავესი**

ეიბარი: **ტრავმ-**ჩარლესი, სერხი ენრიჩი

ალავესი: **ტრავმ-**დანი ტორესი, კარლოს ვიგარაი

**ატლეტიკო-ლევანტე**

ატლეტიკო: **ტრავმ-**ხოსე ხიმენესი, ფელიეპ ლუისი

ლევანტე: **ტრავმ-**ემანუელ ბოატენგი, ჯეისონი, ანტონიო ლუნა, სასა ლუკიჩი, ტონო, ჩეიკ დაკური, რაული, ალექს ალეგრია, ივან ლოპესი

**ხეტაფე-ესპანიოლი**

ხეტაფე: **ტრავმ-**მაურო არამბარი

ესპანიოლი: **ტრავმ-**არავინ

**მალაგა-რეალი**

მალაგა: **ტრავმ-**ზდრავკო კუზმანოვიჩი, რეკიო, ხუანპი, ადალბერტო პენარანდა, ხუანკარი

რეალი: **ტრავმ-**ნაჩო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 31 | 24 | 7 | 0 | 79-16 | 79 |
| 2.ატლეტიკო | 31 | 20 | 8 | 3 | 51-15 | 68 |
| 3.ვალენსია | 31 | 20 | 5 | 6 | 59-31 | 65 |
| 4.რეალი | 31 | 19 | 7 | 5 | 77-34 | 64 |
| 5.ბეტისი | 31 | 15 | 4 | 12 | 52-53 | 49 |
| 6.ვილიარეალი | 31 | 14 | 5 | 12 | 41-37 | 47 |
| 7.სევილია | 31 | 14 | 4 | 13 | 39-50 | 46 |
| 8.ხირონა | 31 | 12 | 8 | 11 | 44-48 | 44 |
| 9.სელტა | 31 | 12 | 7 | 12 | 50-43 | 43 |
| 10.ეიბარი | 31 | 11 | 7 | 13 | 36-45 | 40 |
| 11.ხეტაფე | 31 | 10 | 9 | 12 | 35-30 | 39 |
| 12.ბილბაო | 31 | 9 | 12 | 10 | 33-35 | 39 |
| 13.სოსიედადი | 31 | 10 | 7 | 14 | 56-52 | 37 |
| 14.ესპანიოლი | 31 | 8 | 12 | 11 | 26-38 | 36 |
| 15.ლეგანესი | 31 | 10 | 6 | 15 | 26-39 | 36 |
| 16.ალავესი | 31 | 11 | 2 | 18 | 28-45 | 35 |
| 17.ლევანტე | 31 | 6 | 13 | 12 | 28-45 | 31 |
| 18.დეპორტივო | 31 | 5 | 8 | 18 | 29-63 | 23 |
| 19.ლას პალმასი | 31 | 5 | 6 | 20 | 22-63 | 21 |
| 20.მალაგა | 31 | 4 | 5 | 22 | 19-48 | 17 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.04 ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 14.04 შტუტგარტი-ჰანოვერი | 1.83 | 3.6 | 4.2 |
| 14.04 ჰერტა-კიოლნი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 14.04 ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.8 | 3.75 | 4.2 |
| 14.04 ბაიერნი-გლადბახი | 1.3 | 5.5 | 8.0 |
| 15.04 შალკე-დორტმუნდი | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 15.04 ვერდერი-ლაიპციგი | 2.8 | 3.5 | 2.4 |
| 16.04 მაინცი-ფრაიბურგი | 2.3 | 3.2 | 3.2 |

**ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი**

ჰოფენჰაიმი: **ტრავმ-**ერმინ ბიკაჩკიჩი, დენის გეიგერი, ფელიქს პასლაკი

ჰამბურგი: **ტრავმ-**მერგიმ მავრაი, უოლესი, ნიკოლაი მიულერი

**შტუტგარტი-ჰანოვერი**

შტუტგარტი: **ტრავმ-**ტიმო ბაუმგარტი

ჰანოვერი: **ტრავმ-**ჯონატასი, ფლორიან ჰუბნერი, ვალდემარ ანტონი, ჩარლისონ ბენშოპი

**ჰერტა-კიოლნი**

ჰერტა: **ტრავმ-**მაქსიმილიან მიტელშტადი

კიოლნი: **ტრავმ-**სეროუ გიურასი

**ლევერკუზენი-აინტრახტი**

ლევერკუზენი: **ტრავმ-**ჯოელ პოჯანპალო

აინტრახტი: **ტრავმ-**ანტე რებიჩი, კარლოს სალსედო, ომარ მასკარელი

**ბაიერნი-გლადბახი**

ბაიერნი: **ტრავმ-**არტურო ვიდალი, დავიდ ალაბა, კინგსლი კომანი, მანუელ ნოიერი

გლადბახი: **ტრავმ-**რაულ ბობადილა, რიის ოქსფორდი, ჯულიო ვილალბა

**შალკე-დორტმუნდი**

შალკე: **ტრავმ-**არავინ

დორტმუნდი: **ტრავმ-**რაფელ გერერო, დან-აქსელ ზაგადუ, შინჯი კაგავა, ანდრეი იარმოლენკო

**ვერდერი-ლაიპციგი**

ვერდერი: **ტრავმ-**ლუდვიგ აუგუსტინსონი, არონ იოჰანსონი, ფინ ბარტელსი

ლაიპციგი: **ტრავმ-**კონდრად ლაიმერი, შტეფან ილსანკერი, მარსელ ჰალშტენბერგი

**მაინცი-ფრაიბურგი**

მაინცი: **ტრავმ-**იოშინორი მუტო, აბდუ დიალო

ფრაიბურგი: **ტრავმ-**იორიკ რავე, ამირ აბრაში, მაიკ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეჰნერი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 29 | 23 | 3 | 3 | 76-21 | 72 |
| 2.შალკე | 29 | 15 | 7 | 7 | 45-33 | 52 |
| 3.დორტმუნდი | 29 | 14 | 9 | 6 | 57-39 | 51 |
| 4.ლევერკუზენი | 29 | 12 | 9 | 8 | 51-36 | 48 |
| 5.აინტრახტი | 29 | 13 | 7 | 9 | 40-33 | 46 |
| 6.ლაიპციგი | 29 | 13 | 7 | 9 | 44-41 | 46 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 29 | 11 | 10 | 8 | 53-42 | 43 |
| 8.გლადბახი | 29 | 11 | 7 | 11 | 38-43 | 40 |
| 9.შტუტგარტი | 29 | 11 | 5 | 13 | 26-34 | 38 |
| 10.ჰერტა | 29 | 8 | 12 | 9 | 33-34 | 36 |
| 11.აუგსბურგი | 29 | 9 | 9 | 11 | 38-40 | 36 |
| 12.ვერდერი | 29 | 9 | 9 | 11 | 33-35 | 36 |
| 13.ჰანოვერი | 29 | 9 | 8 | 12 | 37-43 | 35 |
| 14.ფრაიბურგი | 29 | 6 | 12 | 11 | 26-48 | 30 |
| 15.ვოლფსბურგი | 29 | 5 | 14 | 10 | 30-37 | 29 |
| 16.მაინცი | 29 | 6 | 9 | 14 | 30-47 | 27 |
| 17.ჰამბურგი | 29 | 5 | 7 | 17 | 23-46 | 22 |
| 18.კიოლნი | 29 | 5 | 6 | 18 | 28-56 | 21 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.04 კალიარი-უდინეზე | 2.5 | 3.0 | 3.1 |
| 14.04 ჯენოა-კროტონე | 1.8 | 3.4 | 4.75 |
| 14.04 კიევო-ტორინო | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 14.04 ატალანტა-ინტერი | 2.75 | 3.25 | 2.6 |
| 15.04 ფიორენტინა-სპალი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 15.04 სასუოლო-ბენევენტო | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 15.04 მილანი-ნაპოლი | 4.33 | 3.5 | 1.83 |
| 15.04 ბოლონია-ვერონა | 1.6 | 3.75 | 6.0 |
| 15.04 იუვენტუსი-სამპდორია | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 15.04 ლაციო-რომა | 2.62 | 3.4 | 2.6 |

**კალიარი-უდინეზე**

კალიარი: **ტრავმ-**ლეანდრო გასტანი, ნიკოლო ბარელა, ლუკა გიგარინი

უდინეზე: **ტრავმ-**როდრიგო დე პაული, ემილ ჰალფრედსონი, ვალონ ბეჰრამი, გაბლიელ ანგელა, სეკო ფოფანა, იაკუბ იანტკო

**ჯენოა-კროტონე**

ჯენოა: **ტრავმ-**ანდრეი გალაბინოვი, სანტიაგო ჯენტილეტი, არმანდო იზზო, მიგელ ველოსო

კროტონე: **ტრავმ-**აჰმად ბენალი, ფედერიკო რიკი, ანდრეა ნალინი, ანტე ბუდიმირი, შტეფან სიმიჩი, მარკო კაპუანო, ფედერიკო ჩეჩერინი

**კიევო-ტორინო**

კიევო: **ტრავმ-**ემანუელ ჯიაჩერინი, ივან რადოვანოვიჩი, ალესანდრო გამბერინი, მეჰდი ლერისი, ნენად ტომოვიჩი

ტორინო: **ტრავმ-**კრისტიან ანსალდი, ლიანჩო, კრისტიან მოლინარო

**ატალანტა-ინტერი**

ატალანტა: **ტრავმ-**მატია კალდარა, ანდრეა პეტანა, ლეონარდო სპინაზოლა, იოსიპ ილიჩიჩი, ლუკა რიცო, რფაელ ტოლოი

ინტერი: **ტრავმ-**ივან პერიშიჩი, ანტონიო კანდრევა, ანდრეა რანოკია, მარსელო ბროზოვიჩი, დანილო დამბროზიო, ედერი

**ფიორენტინა-სპალი**

ფიორენტინა: **ტრავმ-**გერმან პაზელა, მილან ბადელი

სპალი: **ტრავმ-**ფილიპო კოსტა, ბაკარი დრამე, ფედერიკო მატიელო, ბარტოშ სალამონი, მარკო ბორიელო

**სასუოლო-ბენევენტო**

სასუოლო: **ტრავმ-**ედუარდო კოლდანიგა, დომენიკო ბერარდი, სიმონე მისიროლი

ბენევენტო: **ტრავმ-**ლედიან მემუშაი, გაეტანო ლეტიცია, ვიტორიო პარიჯინი, ლუკა ანტეი

**მილანი-ნაპოლი**

მილანი: **ტრავმ-**იგნასიო აბატე, ლეონარდო ბონუჩი, ანდრეა კონტი

ნაპოლი: **ტრავმ-**დრის მერტენსი, კალიდუ კულიბალი, მარიო რუი

**ბოლონია-ვერონა**

ბოლონია: **ტრავმ-**ჯანკარლო გონსალესი, ფილიპ ჰელანდერი

ვერონა: **ტრავმ-**მარსელ ბუჩელი, რაიდერ მატოსი, ალექს ფერარი, ტომას ჰორტო, მოის კეინი, ბრუნო პეტკოვიჩი, ანტონიო კარაჩიოლო

**იუვენტუსი-სამპდორია**

იუვენტუსი: **ტრავმ-**ალექს სანდრო, ფედერიკო ბერნანდესკი

სამპდორია: **ტრავმ-**დავიდ კოვნასკი, ჯანლუკა კაპრარი, ნიკოლა მურუ, ჯანმარკო ფერარი, ედგარ ბარეტო, ბარტოშ ბერეჟინსკი

**ლაციო-რომა**

ლაციო: **ტრავმ-**სენად ლულიჩი, ჯორდან ლუკაკუ, ბასტოსი, შტეფან რადუ, ლუის ალბერტო

რომა: **ტრავმ-**მირკო ანტონუჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 26 | 3 | 2 | 74-18 | 81 |
| 2.ნაპოლი | 31 | 24 | 5 | 2 | 66-21 | 77 |
| 3.ლაციო | 31 | 18 | 6 | 7 | 75-40 | 60 |
| 4.რომა | 31 | 18 | 6 | 7 | 50-26 | 60 |
| 5.ინტერი | 31 | 16 | 11 | 4 | 50-22 | 59 |
| 6.მილანი | 31 | 15 | 7 | 9 | 43-36 | 52 |
| 7.ფიორენტინა | 31 | 14 | 8 | 9 | 44-33 | 50 |
| 8.სამპდორია | 31 | 14 | 6 | 11 | 50-46 | 48 |
| 9.ატალანტა | 31 | 13 | 9 | 9 | 47-34 | 48 |
| 10.ტორინო | 31 | 11 | 12 | 8 | 46-38 | 45 |
| 11.ბოლონია | 31 | 10 | 5 | 16 | 35-43 | 35 |
| 12.ჯენოა | 31 | 9 | 8 | 14 | 24-31 | 35 |
| 13.უდინეზე | 31 | 10 | 3 | 18 | 39-48 | 33 |
| 14.სასუოლო | 31 | 7 | 9 | 15 | 21-51 | 30 |
| 15.კიევო | 31 | 7 | 8 | 16 | 29-51 | 29 |
| 16.კალიარი | 31 | 8 | 5 | 18 | 28-51 | 29 |
| 17.სპალი | 31 | 5 | 12 | 14 | 30-52 | 27 |
| 18.კროტონე | 31 | 7 | 6 | 18 | 29-56 | 27 |
| 19.ვერონა | 31 | 7 | 4 | 20 | 26-62 | 25 |
| 20.ბენევენტო | 31 | 4 | 1 | 26 | 26-73 | 13 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14.04 ლიონი-ამიენი | 1.25 | 5.5 | 13.0 |
| 14.04 რენი-მეცი | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 14.04 სტრაბური-სტ.ეტიენი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 14.04 კაენი-ტულუზა | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 14.04 ლილი-გენგამი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 14.04 ნანტი-დიჟონი | 1.8 | 3.6 | 4.4 |
| 15.04 მონპელიე-ბორდო | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 15.04 ტრუა-მარსელი | 5.0 | 4.0 | 1.65 |
| 15.04 პსჟ-მონაკო | 1.28 | 5.5 | 10.0 |

**ლიონი-ამიენი**

ლიონი: **ტრავმ-**არავინ

ამიენი: **ტრავმ-**არავინ

**რენი-მეცი**

რენი: **ტრავმ-**არავინ

მეცი: **ტრავმ-**ჟან ჟოფრე, ბენუა ასოუ-ეკოტო, ტომას დიდილონი, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

**სტრაბური-სტ.ეტიენი**

სტრაბური: **ტრავმ-**კადერ მანგანე, ნუნო და კოსტა

სტ.ეტიენი: **ტრავმ-**არავინ

**კაენი-ტულუზა**

კაენი: **ტრავმ-**იუსუფ აიტ ბენასერი, ადამა მბენგუე

ტულუზა: **ტრავმ-**იან ბოდიგერი, ენდი დელო

**ლილი-გენგამი**

ლილი: **ტრავმ-**ეზეკიელ პონჩე, იბრაჰიმ ამადუ, ადამა სუმარო

გენგამი: **ტრავმ-**ლუკას დეო, ფრენკ ტაბანო, იანის სალიბური, აბდულ კამარა

**ნანტი-დიჟონი**

ნანტი: **ტრავმ-**კალიფა კულიბალი

დიჟონი: **ტრავმ-**ფლორენ ბალმო, არნოლდ მოუტო, მეჰდი აბედი

**მონპელიე-ბორდო**

მონპელიე: **ტრავმ-**არავინ

ბორდო: **ტრავმ-**ალექსანდერ მენდი

**ტრუა-მარსელი**

ტრუა: **ტრავმ-**ბენჯამინ ნივე, ტრისტან დინომე

მარსელი: **ტრავმ-**სტივ მანდადა, ადილ რამი

**პსჟ-მონაკო**

პსჟ: **ტრავმ-**

მონაკო: **ტრავმ-**ადამა ტრაორე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 32 | 27 | 3 | 2 | 96-22 | 84 |
| 2.მონაკო | 32 | 21 | 7 | 4 | 77-34 | 70 |
| 3.ლიონი | 32 | 18 | 9 | 5 | 69-36 | 63 |
| 4.მარსელი | 32 | 18 | 9 | 5 | 64-38 | 63 |
| 5.რენი | 32 | 13 | 8 | 11 | 41-38 | 47 |
| 6.მონპელიე | 32 | 10 | 16 | 6 | 31-26 | 46 |
| 7.ნიცა | 32 | 13 | 7 | 12 | 43-44 | 46 |
| 8.ნანტი | 32 | 12 | 8 | 12 | 31-35 | 44 |
| 9.სტ.ეტიენი | 32 | 11 | 10 | 11 | 37-45 | 43 |
| 10.გენგამი | 32 | 11 | 8 | 13 | 36-46 | 41 |
| 11.დიჟონი | 32 | 11 | 8 | 13 | 45-60 | 41 |
| 12.ბორდო | 32 | 11 | 7 | 14 | 36-42 | 40 |
| 13.ამიენი | 32 | 10 | 7 | 15 | 29-34 | 37 |
| 14.ანჟე | 32 | 8 | 12 | 12 | 37-43 | 36 |
| 15.კაენი | 32 | 10 | 5 | 17 | 23-42 | 35 |
| 16.სტრასბური | 32 | 8 | 10 | 14 | 38-57 | 34 |
| 17.ტულუზა | 32 | 7 | 9 | 16 | 29-44 | 30 |
| 18.ტრუა | 32 | 8 | 5 | 19 | 25-46 | 29 |
| 19.ლილი | 32 | 7 | 7 | 18 | 30-51 | 28 |
| 20.მეცი | 32 | 5 | 7 | 20 | 29-63 | 22 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სტეფანემ ახალი სიმღერა ჩაწერა




მომღერალმა და პროდიუსერმა სტეფანე მღებრიშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა.

„ბრავო რექორდსში" მომღერლის ჩაწერილი სიმღერა მსმენელისთვის ძალიან მალე გახდება ხელმისაწვდომი. სიმღერის ტექსტი – ზაზა კოშკაძეს, ხოლო არანჟირება „ბრავო რექორდსის" ხმის ინჟინერ ალეკო ბერძენიშვილს ეკუთვნის.

სიმღერის ჩაწერაში მონაწილეობა ძალიან ბევრმა ნიჭიერმა მუსიკოსმა მიიღო. მათ შორის იყვნენ „საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის" რამდენიმე მევიოლინე. ორკესტრს ნიკოლოზ რაჭველი ხელმძღვანელობდა.

სტეფანე ძალიან მალე ახალ სიმღერაზე ვიდეოკლიპის გადაღებასაც გეგმავს, რომლის რეჟისორი ცნობილი ქართველი ფოტოგრაფი გრიგორი დევიჯიევი (ჯიჯი) იქნება.

# თემურ ყვითელაშვილმა 55 წლის იუბილე მოსკოვში აღნიშნა



ვირტუოზმა გიტარისტმა თემურ ყვითელაშვილმა თბილისის შემდეგ თავისი 55 წლის იუბილე მოსკოვში აღნიშნა.

ანდრეი მაკარევიჩის ჯაზკლუბში მუსიკოსმა სოლოკონცერტი გამართა და მსმენელისთვის თავისი შემოქმედებიდან საუკეთესო კომპოზიციები შეასრულა.

55 წლის იუბილეზე თემურ ყვითელაშვილმა ახალი ალბომი გამოუშვა და მისი პრეზენტაცია თბილისში გამართა, მოგვიანებით კი იუბილეს აღნიშვნა რუსეთის დედაქალაქშიც გადაწყვიტა.

# მომღერლები და მსახიობები მოდელებად იქცნენ



დიზაინერმა მანანა მანიამ, რომელიც 22 წელია, კოლექციებს ქმნის, ახალი კოლექცია ცნობილი მომღერლებისა და მსახიობების დახმარებით პოდიუმზე გამოიტანა. სპეციალურად ამ ჩვენებისთვის 2 თვის განმავლობაში შექმნილი 70 ახალი კოსტიუმი 22-მა ადამიანმა წარადგინა. ეკა ჩხეიძემ, მარინა ჯანაშიამ, ცისანა სეფიაშვილმა, ნინო თარხან-მოურავმა და სხვა ცნობილმა ხელოვანებმა დიზაინერის ულამაზესი კაბები მოირგეს და მოდის მოყვარულ საზოგადოებას წარუდგინეს.

კაბების გარდა, მანანა მანიამ ჩვენებისთვის დაამზადა ფეხსაცმელები, ჩანთები, სამკაულები, ქუდები, სათვალეები და სხვადასხვა აქსესუარი. მანანა მანიას ახალი კოლექციის ჩვენების წამყვანი თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე იყო.

# „ღამის შოუ ბახუტასთან ერთად" დაიწყო




მსახიობმა გიორგი ბახუტაშვილმა თეატრის სცენას კარგა ხანია სატელევიზიო ეთერი შეუთავსა, თუმცა იუმორისტული გადაცემის წამყვანი პირველად გახდა.

ტელეკომპანია „იმედის" ეთერში პირველი გადაცემა „ღამის შოუ ბახუტასთან ერთად" გავიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გადაცემა მაყურებლის ნაწილმა მოიწონა, ნაწილმა კი – არა.

პირველი გადაცემის სტუმრები მსახიობი ვანიკო თარხნიშვილი და დიპლომატი გელა ჩარკვიანი იყვნენ.

ბახუტას შოუ „იმედის" ეთერში ყოველ ხუთშაბათს გია ჯაჯანიძის შოუს შემდეგ გავა.

# თბილისის ბიგ ბენდი უკრაინაში კონცერტებს გამართავს




არაერთი საერთაშორისო ჯილდოსა და პრემიის მფლობელი თბილისის მერიის ბიგ ბენდი 25 აპრილს უკრაინაში საგასტროლო ტურნეს იწყებს.

თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის გრანდიოზული გახსნის შემდეგ მუსიკოსები და მომღერლები უკრაინის 4 ქალაქში სხვადასხვა ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან.

**გაიოზ კანდელაკი,** *თბილისის ბიგ ბენდის დამაარსებელი:*

– უკრაინამ თვითონ მიგვიწვია, აფიშები უკვე კარგა ხანია დაბეჭდილია, სადაც წერია ევროპის საუკეთესო ორკესტრი თბილისის ბიგ ბენდი. ეს ჩვენთვის დიდი პატივია. ჩვენ თბილისის ბიგ ბენდი ვართ და მერიამ გვიყიდა ბილეთები.

***– მთელი შემადგენლობით მიდიხართ?***

– დიახ, მთელი შემადგენლობით მივდივართ.

***– პირველად ესტუმრებით უკრაინას?***

– უკრაინაში პირველად არ ჩავდივართ, კიევში ორჯერ ვიყავით, მაგრამ იმ ქალაქებში, სადაც უნდა დავუკრათ, პირველად ჩავალთ.

***– თბილისში არ გექნებათ კონცერტები?***

– თბილისში სულ გვაქვს კონცერტები. ორი დღის წინ კავკასიის უნივერსიტეტის გახსნაზე დავუკარით, უნივერსიტეტებში სულ დავდივართ, აღმაშენებელზეც ვატარებთ უფასო კონცერტებს. ეს ტრადიციაა, რომელსაც არასდროს შევწყვეტთ. ამას საზოგადოებაც მიეჩვია და გაჩერების უფლება არ გვაქვს. ამით ვზრდით გემოვნებიან მსმენელს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის საუკეთესოა.

უახლოესი კონცერტი 23 აპრილს რიყეზე გვაქვს, სადაც დავუკრავთ ჩვენი მსმენელისთვის.

24 მაისს ჯანსუღ კახიძის ცენტრში კახიძის ფესტივალის პროგრამით ჩატარდება ჩვენი უნიჭიერესი სოლისტის მაია ბარათაშვილის ბენეფისი, შემოქმედებითი საღამო, სადაც ბიგ ბენდთან ერთად თბილისის სიმფონიური ორკესტრიც დაუკრავს. 3 ნაწარმოებს იდირიჟორებს ვატო კახიძე, დანარჩენს – ჩვენი მაესტრო გივი გაჩეჩილაძე.

***– საქართველოს რეგიონებში კონცერტებს როდის გამართავთ?***

– ჩვენ „ჩექ ინ ჯორჯიას" პროექტში გავიმარჯვეთ. ივნისიდან თბილისის ბიგ ბენდი და ქართული ხმები საქართველოს 11 ქალაქში გამართავს კონცერტს. რომ დავიწყებთ კახეთიდან, დავამთავრებთ აჭარაში. სვანეთი, სამეგრელო, კახეთი, ოზურგეთი, იმერეთი – ყველგან ჩავალთ, 4 აგვისტოს კი ალიევის სახელობის ყოველწლიურ საერთაშორისო ფესტივალზე დავუკრავთ.

***– უცხოეთში ქართულ რეპერტუარს ასრულებთ ხოლმე?***

– რეპერტუარზე გამუდმებით ვმუშაობთ, სულ ახალი კომპოზიციები გვაქვს – ქართული ესტრადა, უცხოური ესტრადა, ქართული ფოლკლორი. არ ვჩერდებით, რათა განვვითარდეთ.

# ხელოვნების სასახლემ უნიკალური ექსპონატი შეიძინა



ხელოვნების სასახლემ უნიკალური ექსპონატი შეიძინა. ინფორმაცია ამის შესახებ სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– რომ არ გაგიზიაროთ, არ შემიძლია – ეს ულამაზესი მაქმანებიანი ბიჭუნა, ოდნავ ღიმილიანი და სევდიანი მზერით...

ზუსტად ვინ არის, ვერ გეტყვით, გამყიდველი ამბობდა, ოლდენბურგელი პრინციაო, თუმცა აგრაფინასა და კონსტანტინეს შვილი რომ ვერ იქნება, ცხადია, რადგან ნახატს 1875 წელი უწერია თარიღად, მაშინ ჩვენი წყვილი ჯერ კიდევ არ იცნობდა ერთმანეთს.

უცნაური ისტორია აქვს ამ ნახატს: ერთი წლის წინ მოვინდომეთ მისი ყიდვა, მაგრამ უფულობის გამო ვერ შევძელით, თუმცა ეს სევდიანი გამოხედვა მოსვენებას გვიკარგავდა მუზეუმის თანამშრომლებს და თვეში ერთხელ მივდიოდით ანტიკვარულ მაღაზიაში ნაცნობ კედელზე ნაცნობი მზერის სანახავად...

ერთ დღესაც ბიჭუნა კედლიდან გაქრა! რუსეთში წაიღოო გასაყიდად პატრონმა, – გვითხრა მაღაზიის მფლობელმა... ზუსტად იმ დღეს ერთწლიანი ხელშეკრულება გავაფორმეთ დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდთან, რომლის თანახმადაც, ყოველ თვე ჩვენ მიერ შერჩეულ თითო ხელოვნების ნიმუშს გვიყიდიდა ფონდი. ხელშეკრულების ხელმოწერიდან თითქმის ყოველ კვირა მივდიოდით მაღაზიის მფლობელთან იმ იმედით, რომ ჩვენს ბიჭუნას დავიბრუნებდით. ის კი თავს ცივად გვიქნევდა და გვეუბნებოდა: ოლდენბურგელი პრინცი" შორეულ მოსკოვშია და სამშობლოს სამუდამოდ დაემშვიდობაო. ერთხელაც შევბედე და ვთხოვე, თუ არ გაყიდულა, პატრონს დაელაპარაკე, იქნებ დააბრუნოს და ორმაგს გადაუხდის ფონდი-მეთქი. ვცდიო, მითხრა გამყიდველმა და გასული წლის შემოდგომის ერთ მშვენიერ საღამოს იმედიანი ღიმილით დამემშვიდობა.

თებერვალში ხელშეკრულება უკვე სრულდებოდა, ბოლო ნივთი ჯერ არ გვეყიდა... ტელეფონზე ნაცნობი ანტიკვარის ნაცნობმა ნომერმა დარეკა, ოლდენბურგელი ბიჭი დავაბრუნეო, მომახარა რიხიანი სიტყვებით და შევატყვე ხმაში, სიხარულისა თუ სიამაყის ბურთი ახრჩობდა. მუზეუმის მთელი „მხედრობა" ავიშალეთ და მაღაზიის მფლობელთან წავედით...

ნამდვილად ის იყო, თხელი, სიფრიფანა მაქმანებით, სევდიანი გამოხედვითა და ტუჩებში ოდნავ შეპარული ღიმილით. ქვეჩარჩოზე რუსეთში მგზავრობის დაღი ახლაც ეტყობა, ტრეტიაკოვის გალერეის საექსპერტო ბიუროს ბეჭედი ნომრით 347856-21, რაც იმის დასტურია, რომ შემოწმება წარმატებით გაიარა და ერთ-ერთ საუკეთესო ევროპულ ნამუშევრად აღიარეს. აღიარეს, მაგრამ ვერ დაიტოვეს. ამ შემთხვევაში ჩვენ, ქართველებმა ვივაჟკაცეთ, ყველამ ერთად – მუზეუმმა, მეპატრონემ, გამყიდველმა, სამინისტრომ და ფონდმა, ალბათ თავად ბიჭუნამაც. ჰოდა, დავიბრუნეთ. დღეს თბილისშია, ხელოვნების სასახლის ოქროსფერ დარბაზში. არ გჯერათ? „მოდით და ნახეთ ყოველმან, შემსხმელმან, შემამკობელმან". სწორედ ამაზე უთქვამთ: „ძალა ერთობაშიაო".

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი 90 წლისაა




ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს 18 აპრილს 90 წელი უსრულდება.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით 14-18 აპრილის ჩათვლით გაიმართება მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლების შოუ ქეისი, რომელსაც საზღვარგარეთიდან ჩამოსული პროდიუსერები, სამხატვრო ხელმძღვანელები და დირექტორები დაესწრებიან.

შოუ ქეისზე წარმოდგენილი იქნება მოზარდ მაყურებელთა თეატრის 10 სპექტაკლი: რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის „აურზაური არაფრის გამო", „ბილოქსი ბლუზი", „რწყილი და ჭიანჭველა", „ღამე და თუთიყუში", „ირინეს ბედნიერება", „სეილემის პროცესი", რეჟისორ ოთარ ბაღათურიას „წითელქუდა", რეჟისორ ნიკოლოზ საბაშვილის „შვლის ნუკრის ნაამბობი", რეჟისორისა და ქორეოგრაფის გია მარღანიას „ევანგელიონი" და რეჟისორ ბესო კუპრეიშვილის „სევილიელი დალაქი".

საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოდიან სტუმრები გერმანიიდან, ისრაელიდან, ინდოეთიდან, სლოვაკეთიდან, პოლონეთიდან, ბელორუსიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან და რუსეთიდან.

საიუბილეო კვირეული 14 აპრილს დაიწყება. მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფოიეში გამოფენა გაიხსნება. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება ისტორიული აფიშები და სახელგანთქმული ქართველი მხატვრების ესკიზები, რომლებმაც მოზარდ მაყურებელთა თეატრის ეპოქა შექმნეს.

18 აპრილს, საიუბილეო კვირეულის დასკვნით დღეს, მოზარდ მაყურებელთა თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო. ამავე დღეს შედგება ალბომის „მოზარდ მაყურებელთა თეატრი 90" პრეზენტაცია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ყოფილი „მის სამყაროს“ თქმით, ტრამპს მასთან სექსი სურდა



სილამაზის კონკურსის „მის სამყაროს“ გამარჯვებულმა ალესია მაჩადომ განაცხადა, რომ მის მიმართ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მხრიდან სექსუალურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი.

ვენესუელელმა ლამაზმანმა „მის სამყაროს“ ტიტული 1996 წელს მიიღო, როდესაც ტრამპმა სილამაზის კონკურსის ჩატარების უფლება შეისყიდა. მაჩადოს თქმით, ის ტრამპისთვის „ზღვის გოჭად“ იქცა და მთელი მომდევნო წლის განმავლობაში არაერთხელ მიიღო მისგან სექსის შეთავაზება. მაგრამ გოგონა ყოველთვის უარით პასუხობდა.

— მასთან არასოდეს დავწოლილვარ, სამაგიეროდ, მას კარგად ვიცნობდი, როგორც პიროვნებას. ჩემი აზრით, ეს კიდევ უფრო უარესია, — განაცხადა მაჩადომ.

ალსანიშნავია, რომ უფრო ადრე მაჩადომ განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა მისი მისამართით რასისტული შენიშვნები გააკეთა. როდესაც გოგონამ წონაში მოიმატა, ტრამპმა მას „მის პიგი“ უწოდა. მის მიმართ ასეთი დამოკიდებულების გამო მას საჭმლის მონელების აშლილობა დაემართა და განკურნება მხოლოდ ფსიქოთერაპევტის დახმარებით შეძლო.

უფრო ადრე ტრამპის მხრიდან სექსუალური ზეწოლის თაობაზე მისმა იოგას მასწავლებელმა კარენ ვირჯინიამ განაცხადა. ის მეათე ქალი იყო, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა.

# სასუქით დატვირთულმა მანქანამ ტორნადოში გაიარა



ახალ ზელანდიაში სატვირთო მანქანის მძღოლმა ტორნადოში გაიარა და ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

რიკ ფილდს მანქანით სასუქი ტარანაკის რეგიონში გადაჰქონდა, რომელიც ახალი ზელანდიის ჩრდილოეთის კუნძულის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. მან შენიშნა, რომ წვიმა გაძლიერდა და ქარიც ქროდა, მაგრამ არ იცოდა, რომ პირდაპირ ტორნადოსკენ მიდიოდა. როდესაც მის გარშემო ხეებმა დაიწყეს წაქცევა და მავთულებმა დაწყვეტა, უკან მიბრუნება უკვე გვიანი იყო და ისლა დარჩენოდა, რომ გზა გაეგრძელებინა.

— მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი, სად დავმალულიყავი, მაგრამ ასეთი ადგილი არსად ჩანდა, — ყვება ფილდი, — არ ჩანდა თუ საით მივდიოდი, და ვერც იმას ვიგებდი, ტორნადოს შუაგულისკენ მივდიოდი თუ პირიქით. ასე რომ, უბრალოდ გზას ვაგრძელებდი.

მძღოლს ეშინოდა, რომ რომელიმე ხე მისი მანქანის კაბინას დაეცემოდა, მაგრამ საბედნიეროდ ასე არ მომხდარა. ფილდმა სასუქი დანიშნულების ადგილზე ჩაიტანა და უკან გამობრუნდა, მაგრამ ის გზა, სადაც მას ტორნადომ მოუსწრო, უკვე გადაკეტილი დახვდა.

— ხეების ნახევარი ძირფესვიანად იყო მოგლეჯილი, გზა ელექტროგადამცემი მავთულებით იყო მოფენილი, — განაცხადა მანქანის მძღოლმა.

# ქალმა მომგებიანი ლატარიის ბილეთი გადააგდო




ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა შეცდომით გადააგდო ლატარიის ბილეთი, რომელსაც საკმაოდ სოლიდური თანხა ჰქონდა მოგებული, თუმცა, მისდა საბედნიეროდ, მისმა მეუღლემ მისი ნაგავში პოვნა შეძლო.

მამაკაცის თქმით, ეს ლატარიის ბილეთი მეუღლისთვის დაბადების დღის საჩუქარი იყო. ქალმა დამცავი ფენა გადაფხიკა, ჩათვალა, რომ ვერაფერი მოიგო და გადააგდო.

მისმა მეუღლემ არ დაიჯერა, რომ მის მიერ ნაყიდი ბილეთი მომგებიანი არ იყო, იპოვნა გადაგდებული ბილეთი და ის ლატარიის სპეციალურ მოწყობილობაში შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ მისმა მეუღლემ ორი მილიონი დოლარი მოიგო.

— ჩვენ თავს იღბლიან ადამიანებად არ ვთვლით, ასე რომ, ეს სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა, — განაცხადა მამაკაცმა.

ლატარიის წესების თანახმად, მოგებული თანხის გადახდა რამდენიმე წლის მანძილზე ხდება, თუმცა მოგებული თანხის ნაწილზე უარის თქმის შემთხვევაში, დარჩენილი თანხის ერთბაშად მიღებაა შესაძლებელი. ოჯახმა მეორე ვარიანტი ამჯობინა და 1,3 მილიონი დოლარი მიიღო.

# ასტროპროგნოზი

## 14 აპრილისათვის



**ვერძი** — საღი აზრი შეინარჩუნეთ და ილუზიებს ნუ აჰყვებით. მიუხედავად მძიმე შრომისა, შესაძლოა შედეგით უკმაყოფილო დარჩეთ. **კურო** — ენერგია დაზოგეთ. მხოლოდ აუცილებელი საქმით შემოიფარგლეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** — წვრილმან საქმეებზე დროს ნუ დაკარგავთ. უმჯობესია, თუ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე იფიქრებთ. **კირჩხიბი** — ფინანსური თვალსაზრისით დროებითი სირთულეები შეგხვდებათ. ვითარება ღრმად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **ლომი** — ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. საპირისპირო სქესთან ურთიერთობა წარმატებულია. **ქალწული** — ნებისმიერი კონტაქტი თქვენგან დიპლომატიურობას მოითხოვს. აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. **სასწორი** — მშვიდი დღეა. ოდნავ დაბნეული ხართ, თუმცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას არ შეცდებით. **ღრიანკალი** — მიზნის მისაღწევად დიდი შრომა დაგჭირდებათ. იოლ გზებს ნუ ეძებთ. **მშვილდოსანი** — ადამიანებთან ურთიერთობისას ლმობიერება გამოიჩინეთ. ნუ იქნებით მეტისმეტად უხეში და კატეგორიული. **თხის რქა** — ნებისმიერი კონტაქტი სასარგებლო იქნება, თუ რაციონალურად იაზროვნებთ. **მერწყული** — მართებული გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ. სხვების გავლენის ქვეშ მოქცევა სახიფათოა. **თევზები** — წინააღმდეგობრივი დღეა. დილით მშვიდად ხართ. დღის მეორე ნახევარში პესიმისტური აზრები გიტევთ.

## 15 აპრილისათვის

**ვერძი** — დილით საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. კონფლიქტს გამოიწვევს ძალზე მაღალი, გადაჭარბებული თვითშეფასება. **კურო** — იღბლიანი დღეა. ბედი გწყალობთ. ბიზნესურთიერთობებში წარმატებას ელოდეთ. **ტყუპები** — საქმიანმა პარტნიორმა შესაძლოა მოგატყუოთ. ამიტომ დაკვირვებით იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ემოციების გამოხატვისაგან თავი შეიკავეთ. ნუ იქნებით სუბიექტური. **ლომი** — ზედმეტი ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუარესებთ. ზომიერება დაიცავით. **ქალწული** — სერიოზული პროვოკაციებისა და კონფლიქტების დღეა. გადაღლილი და გაღიზიანებული ხართ. ბევრი იარეთ ფეხით. **სასწორი** — გაერთეთ, დაიტვირთეთ ფიზიკურად, წაიმუშავეთ ბაღში, მოუარეთ შინაურ ცხოველებს და ცხოვრების ხალისიც დაგიბრუნდებათ. **ღრიანკალი** — ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. გელით რომანტიკული შეხვედრა. **მშვილდოსანი** — ნუ იეჭვიანებთ, საღი აზრის შესანარჩუნებლად საკმაო ძალისხმევა გჭირდებათ. **თხის რქა** — კონფლიქტურ სიტუაციებს საჩქაროდ გაერიდეთ, თორემ პროვოკაციების ეპიცენტრში აღმოჩნდებით. გაუფრთხილდით საქმიანი პარტნიორების თავმოყვარეობას. **მერწყული** — ყოველგვარი მოლაპარაკება სხვა დროისათვის გადადეთ. ცრუ დაპირებები არ გასცეთ. **თევზები** — იყავით გულმოწყალე, მიმტევებელი, თუმცა საკუთარი პრინციპების დაცვაც აუცილებელია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ირაკლი რეხვიაშვილის ხსოვნას

(29. 06. 1937 – 24. 02. 2018)



სულ რაღაც ორმოცი დღეა, რაც ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლიტიკური მეცნიერების ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ირაკლი ივანეს ძე რეხვიაშვილი.

ბატონმა ირაკლიმ საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო. ის იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის კათედრის დამაარსებელი და მისი პირველი გამგე, ქართულ ენაზე პოლიტოლოგიის პირველი სახელმძღვანელოს შექმნის სულისჩამდგმელი და ერთ-ერთი ავტორი. მის კალამს ეკუთვნოდა 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი — მონოგრაფია, ბროშურა, სტატია. აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ.

პროფესორი ირაკლი რეხვიაშვილი დიდი და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის კოლეგებსა და სტუდენტებს შორის, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ერი და ეროვნულობა მიაჩნდა ნებისმიერი ეთნოსის არსებობის ფიზიკურ და სულიერ საფუძვლად. ამავდროულად, ის იყო ქართული ეროვნული ცხოვრების წესის, „ქართველობის“ აღიარებული დამცველი და მისი მებაირაღე! თვითონ, ქართული ენის უზადო მცოდნე, არავის პატიობდა მშობლიური ენის ვულგარიზაციას ბარბარიზმებითა და ჟარგონით!

სადაც არ უნდა ეცხოვრა ბატონ ირაკლის, საქართველოში თუ სამხრეთ აფრიკაში, ყოველთვის ახსოვდა და უყვარდა თვისტომი და სამშობლო, სათანადო პატივს მიაგებდა წინაპრებს. მისთვის „ღმერთი ზეციდან ჩამოვიდა და სამშობლო დაერქვა!“

მას მიაჩნდა, რომ ნებისმიერი ერი არის ღმერთის ქმნილება, ერთადერთი და განუმეორებელი. ერის შემოქმედებითი გენია ქმნის სულიერებას, რომლის გარეშეც არ შეუძლია არსებობა და თანდათან იღუპება. ერის არსებობის პირობას მისი სულიერება წარმოადგენს. მასთანაა დაკავშირებული სამშობლო, მამული, რწმენა. ერის კულტურაში სულიერების გამოვლინება წარმოადგენს უფლისადმი მიძღვნილ ჰიმნს. მიწიერ საქმეებში სულიწმიდის საშუალებით გადმოსული სულიერებაა სამშობლო და მამული. გაცისკროვნებული სულიერების საშუალებით ერი მარადიულობას უკავშირდება.

ბატონი ირაკლი რეხვიაშვილის ნათელი ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და მადლიერი შთამომავლობის მეხსიერებაში!

---

მიხეილ ქავთარიას ოჯახი — ლულუ, პაატა, ქეთინო, მარინე, ზაზა — დიდი გულისტკივილით აცხადებს

**ნელი ჯანელიძის**

გარდაცვალებას.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. აგავასგან მომზადებული მექსიკური არაყი; 2. მოკლე ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 3. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 4. ცირკის არენა; 6. ლითონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 9. მამათა მონასტერი; 11. ალალი, გულუბრყვილო, მიმნდობი ადამიანი; 15. გერმანიაში გამოყვანილი უხეშბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 16. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 17. შესწორება, გასწორება; 19. ბრიტანეთის ნაწილი; 21. გრძელ დისტანციაზე მორბენალი მძლეოსანი; 22. მოყვითალო-სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე.

**თარაზულად:** 5. შეძენილი ჭკუასუსტობა; 7. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული, სწრაფად მზარდი, გუტაპერჩის შემცველი ჩინური ხე; 8. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 10. რაიონული ცენტრი იმერეთში; 12. ჩეხი მხედართმთავარი ეროვნული გმირი; 13. მღრღნელი ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება; 14. სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა ქრისტიანულ მღვდელთმსახურებაში; 18. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამა; 20. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 23. ოპერა „მინდიას“ პერსონაჟი; 24. ქართული ლუდი; 25. თხელი, ფურცლოვანი რკინა; 26. მდინარე თბილისში; 27. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მაშვრალი; 2. ღანძილი; 3. ისტრი; 4. თაკვერი; 5. ქუთაისი; 10. ტაბლოიდი; 11. მინგეჩაური; 12. ვიოლინო; 15. „ტრაიდენტი“; 16. ზღარბი; 17. სახიობა; 20. დიქტი.

**თარაზულად:** 6. მანსანარესი; 7. თაფლუჭი; 8. კვირიკე; 9. ხახული; 13. რიგა; 14. ნიბლია; 18. ელევატორი; 19. კაშია; 21. „ხიხვი“; 22. სინუსი; 23. „ხაბიზგინა“; 24. პრიშტინა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. არწივი; 2. ჯიხვი; 3. გრახტი; 4. ქორქია; 6. „ფარაონი“; 9. არაყი; 11. კურიოზი; 15. ლაფონტენი; 16. ბონუსი; 17. პიკადორი; 19. იმპულსი; 21. დოპინგი; 22. ჩაჟაში.

**თარაზულად:** 5. ერისთავი; 7. ავსტრია; 8. არმანი; 10. „არაბიკა“; 12. იფქლი; 13. „კრუპი“; 14. ბაყალხანა; 18. ბეილი; 20. როსინი; 23. იაუნდე; 24. პაპი; 25. „მოსადი“; 26. შუნი; 27. ოგინსკი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.4008

ევრო — 2.9712

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4075

100 რუსული რუბლი — 3.7483

## ამინდის პროგნოზი 14 აპრილისთვის





## 5 აპრილიდან
150 ამბავი
ნობელიანტი ფიზიკოსები
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




## 28 მარტიდან
130 ამბავი
ლუდი
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




## 29 მარტიდან




ავთანდილ ბუხრაშვილი
მყუდრო აგარაკის საიდუმლოება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 3 აპრილიდან
79 ამბავი
ზვიად გამსახურდია




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## იუმორი



ქალი და კაცი ცეკვავენ. ქალი მამაკაცს ეხუტება და ნაზი, ვნებიანი ხმით ეუბნება:

– ცოტათი ვღელავ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მეტისმეტად ღრმა დეკოლტე მაცვია. თქვენ რას ფიქრობთ?

მამაკაცმა დეკოლტეში ჩახედა და უპასუხა:

– ოოო... სიმართლე გითხრათ... არა, იცით რა... მკერდზე თმები გეზრდებათ?

– ოჰ, რას ამბობთ? რა თქმა უნდა, არა!

– ჰოო, მაშინ მართლაც ძალიან ღრმა დეკოლტეა...

●●●

ცოლის თხოვნით ქმარმა კატა შორეულ ტყეში წაიყვანა და იქ დატოვა. გავიდა ერთი დღე, კაცი არ ჩანს, გავიდა მეორე დღე, მესამე დღეს კაცი ცოლს ურეკავს მობილურზე და ეკითხება:

– ქალო, კატა სახლში დაბრუნდა?

– უკვე ორი დღეა სახლშია.

– ტელეფონი მიეცი, იქნებ მითხრას, გზას როგორ გამოვაგნო...

●●●

ხალხი მთავრობას მიმართავს:

– ისევ ყველაფერი გაძვირდა! ცხრა პირტყავს გვაძრობთ!

მთავრობა:

– ცხრა ტყავი რა ჯანდაბად გინდა?! ერთიც გეყოფა!

●●●

საავტომობილო ავარიის შემდეგ ქალი საავადმყოფოში აღმოჩნდა. მორიგე ექიმი ქალს სინჯავს და მედდას კარნახობს:

– ჩაწერე, მარჯვენა ხელის მოტეხილობა, მარჯვნივ მოტეხილი აქვს მეექვსე და მეშვიდე ნეკნი. თავზე ნაიარევები აქვს.

ამ დროს პაციენტს მიუბრუნდა და ეკითხება:

– რამდენი წლის ხართ?

– ოცდაშვიდის.

– და დაამატე, – მიუბრუნდა ისევ მედდას, – ტვინის შერყევა, მეხსიერების სრული დაკარგვით.

●●●

ბიჭი და გოგო ღვინოს სვამენ. ბიჭი გოგოს ჭიქაში უსხამს სასმელს. გოგონა ეუბნება:

– მეტი აღარ დამისხა, თორემ ჩემ ფეხებს რაღაც უცნაურობა ემართება.

– რა, მუხლები გეკვეთება?

– არა, მაღლა მეწევა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მილიონერმა საკუთარი ქვრივი ხელცარიელი დატოვა

დიდ ბრიტანეთში რანტიე – მილიონერის ქვრივი 42 წლის ქორწინების შემდეგ ქონების გარეშე დარჩა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოსამართლე იძულებული გახდა, შესწორება შეეტანა მილიონერის ანდერძში, რათა ქალი სიღარიბისგან გადაერჩინა.

94 წლის ასაკში გარდაცვლილმა ვინფორდ ჰოჯმა საკუთარ უკანასკნელ სურვილში აღნიშნა, რომ არ სურდა მის მეუღლესა და ოთხ შვილს მისი მილიონნახევარი ფუნტი სტერლინგის მემკვიდრეობიდან, რაიმე რგებოდათ. საკუთარ მეუღლეს, 79 წლის ჯოან ტომპსონს მან უზრუნველყოფილი ქალი უწოდა და დაამატა, რომ მას მისი ფული არ დასჭირდებოდა, ხოლო მთელი ფული მან თავის ორ მოიჯარადეს დაუტოვა, რომლებიც მას შეძენაში ეხმარებოდნენ და უსასყიდლოდ ასრულებდნენ მის დავალებებს.

თუმცა მოსამართლემ მილიონერის უკანასკნელი სურვილის, რომელსაც შეცდომა უწოდა, შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან ქალბატონ ტომპსონს 2,5 ათასი ფუნტი დარჩა და მას მოხუცებულთა სახლში უწევდა ცხოვრება. მან აღნიშნა, რომ ჰოჯმა არ შეასრულა



მოვალეობა, რომელსაც ხანგრძლივ პარტნიორთან ურთიერთობა აკისრებდა და ქალს მიაკუთვნა 225 ათასი ფუნტის ღირებულების კოტეჯი და 190 ათასი ფუნტი სტერლინგი, რათა ქალმა მისი შეკეთება და მომავალში საკუთარი ცხოვრების უზრუნველყოფა შეძლოს.

ცნობილია, რომ მამაკაცმა საკუთარი ანდერძი რამდენჯერმე გადაწერა. სიკვდილის წინ კი ცოლს განუცხადა, რომ „მასზე კარგად იზრუნა".

## ჭკვიანმა სექს-თოჯინამ საკუთარი შემქმნელი განქორწინებას გადაარჩინა

ესპანელი გამომგონებლის სერგი სანტოსის მეუღლე მიიჩნევს, რომ ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი სექსრობოტი, რომელიც მისმა ქმარმა შექმნა, ოჯახური პრობლემების გადაწყვეტისთვის გამოდგება.

სანტოსის მეუღლეს მარიცუ კისამიტაკის არ აღელვებს, ის რომ მისი ქმარი სექსთოჯინასთან ერთობა.

– ვფიქრობ, თუ მეუღლეების ურთიერთობა ეფუძნება ნდობასა და ურთიერთპატივისცემას, მაშინ თოჯინის გამოჩენა მათ უფრო მეტად დაეხმარებათ, – განაცხადა ქალმა.

მისი თქმით, ზოგჯერ ადამიანები ბევრ რამეში ეგუებიან ერთმანეთს, მაგრამ არა სექსში. ის მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევებში გამოსავალს სწორედ თოჯინა წარმოადგენს.

სანტოსი ამტკიცებს, რომ მას ხშირად სურს სექსით დაკავდეს, მაშინ როდესაც, მის მეუღლეს ამის სურვილი არ აქვს. მან შეძლო ცოლი დაერწმუნებინა, რომ მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის სექს-თოჯინა იყო საჭირო.



– მე მას ვუთხარი: „მომისმინე, სექსი სინქრონულობის არ ქონის გამო უამრავი ადამიანის ურთიერთობას ანგრევს, – აცხადებს გამომგონებელი, – მე არ მსურდა, რომ იგივე ჩვენ ურთიერთობაშიც მომხდარიყო.

თოჯინა სამანტა, რომელიც სანტოსმა შექმნა, რეაგირებს შეხებასა და ხვევნაზე, იმახსოვრებს „პარტნიორებს" და ყოველ მათგანთან ურთიერთობის ინდივიდუალურ სქემას ქმნის. გამომგონებელი საკუთარ სექს-რობოტებს 2834-დან შვიდიათას დოლარამდე ფასად ყიდის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ალიგატორისთვის სტაფილოს მსროლელ ტურისტებს დააჯარიმებენ



ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატში უცნობმა პირებმა მოზრდილ ალიგატორს სტაფილოები ესროლეს.

ინციდენტი აშშ-ის ატლანტის სანაპიროსთან მდებარე კუნძულ ფრიპზე მოხდა. დამსვენებლებმა სამ მეტრზე მეტი სიგრძის რეპტილია შენიშნეს და მისთვის ბოსტნეულის სროლა დაიწყეს. მტაცებელს მათთვის ყურადღება არ მიუქცევია, შემდეგ კი წყალსატევში გაუჩინარდა. ფეისბუქში გამოქვეყნებულ ფოტოზე ჩანს, რომ ალიგატორს თავზე სტაფილო აქვს.

კურორტის წარმომადგენლებმა, სადაც აღნიშნულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, მომხდარს „ახალი დონის სისულელე" უწოდეს. მათი თქმით, მათ აქვთ ბოროტმოქმედების აღწერილობა და მათ ყოველი ნასროლი სტაფილოსთვის 200 დოლარის გადახდა მოუწევთ ჯარიმის სახით. გარდა ამისა, მათ შესაძლოა 30 დღით პატიმრობაც მიესაჯოთ ალიგატორისთვის საკვები პროდუქტების გადაყრისთვის.

## ამერიკის ქალაქში ათეულობით მკვდარი ბატი ჩამოვარდა



ამერიკის ქალაქ აიდაჰო-ფოლსში, რომელიც აიდაჰოს შტატში მდებარეობს, ციდან 50-ზე მეტი მკვდარი ბატი ჩამოცვივდა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა, ძლიერი ჭექა-ქუხილისა და სეტყვის დროს. ფრინველები რამდენიმე ასეული მეტრის რადიუსში იქნა ნანახი. შტატის სანადირო და სათევზაო რესურსების დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯეიკობ ბერლიმ განაცხადა, რომ მათ ინციდენტის მეორე დღეს 48 თეთრი ბატი და სამიც ბატი როსა შეაგროვეს. კიდევ რამდენიმე მკვდარი ფრინველი იყო დარჩენილი ირგვლივ მდებარე შენობების სახურავებზე.

ბერლის ვარაუდით, ბატების გუნდი კანადისკენ მიფრინავდა. სავარაუდოდ, მათი დაღუპვის მიზეზი მეხის დაცემა გახდა. ბერლის თქმით, მათ რომ სეტყვა მოხვედროდა, მაშინ ისინი მიწაზე სხვადასხვა ადგილზე დაეშვებოდნენ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დუქნის დახლიდარი; 2. მიმდინარე ცხოვრების ამსახველი ცნობების, ამბების ქრონოლოგიური აღნუსხვა; 3. ნავსადგური უკრაინაში; 4. ისტორიული ფსიქიატრიული საავადმყოფო ლონდონში; 5. მეათე საუკუნის მონასტერი ახალქალაქის რაიონში; 10. ფრანგ პარტიზანთა სახელწოდება, მეორე მსოფლიო ომის დროს; 11. წარმოების მართვა; 12. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 15. პირი ნავსადგურში, რომელიც განაგებს გემების ჩატვირთვა-გადმოტვირთვას; 16. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 17. პარიზის ძველი სახელწოდება; 20. გერმანული ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. მონასტერი რაჭაში; 7. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 8. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 9. ხელოვნური თმა; 13. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 14. ვაშლის ქართული ჯიში; 18. ორგანიზმის შეუვალობა შხამის, ვირუსის მიმართ; 19. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 21. დამარილებული ღორის ქონი; 22. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ჟესტიკულაციით გადმოცემული, უსიტყვო, თეატრალური წარმოდგენა; 24. პირველი ქართული მხატვრული ფილმი.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა